ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 29 ივლისი, №13 (6498)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

## მამუკა ბახტაძე – სექტემბრიდან ქართულ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაბრუნდება

სექტემბრიდან ქართულ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაბრუნდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში განაცხადა, სადაც ახალი სასწავლო წლიდან, სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ადაპტირებული ვერსიით დაბრუნებასთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.

მისი თქმით, სექტემბრიდან ყველა პირველკლასელი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ უფასოდ მიიღებს.

„აქ დაიბადა დიდი ქართველი ადამიანი, რომელმაც შექმნა თითოეული ჩვენგანისთვის უსაყვარლესი წიგნი, ჩვენი „დედა ენა“, ადამიანი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ისტორიულ მისიაში, რასაც ერქვა ქართული ენის გავრცელება. ჩვენ დღეს ვიმყოფებით იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმთან და მინდა, აქედან მივესალმო სრულიად საქართველოს. ეს იყო ეპოქა, როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნამდვილი პატრიოტი ადამიანების ერთად დგომა. ეს იყო უდიდესი გამოწვევა მაშინდელი საქართველოსთვის, როდესაც ქართული ენა იდგა გადაშენების პირას. ქართველმა პატრიოტებმა შეძლეს შეუძლებელი, შეძლეს და შექმნეს წიგნი, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას, რომელმაც შეგვინარჩუნა ყველაზე წმინდა, ქართული ენა და ქართული ანბანი. როდესაც იაკობ გოგებაშვილი თავის წიგნს წერდა, მას სწორედ ეს განზრახვა ჰქონდა, რომ გადაცემულიყო თაობიდან თაობას, რათა შეგვენარჩუნებინა ყველაზე წმინდა, ჩვენი ენა და ანბანი“, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, შემდეგ, მთელი ქართული განათლების სისტემა დაეფუძნა სწორედ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპებს და ეს წიგნი თითოეული ქართველისთვის არის სათაყვანებელი.

„შემდეგ, სამწუხაროდ, უპასუხისმგებლო ადამიანების მოქმედების შედეგად, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან და ამან გამოიწვია ჩვენი საზოგადოების გულისწყრომა, სამართლიანი და ობიექტური. მაშინდელი ეპოქისთვის და მაშინდელი პატრიოტებისთვის წერა-კითხვის გავრცელება იყო ეროვნული იდეა, ისინი სწორედ წერა-კითხვის გავრცელებაში ხედავდნენ საქართველოსა და ქართული ენის გადარჩენას. დღეს ჩვენც გვაქვს ეროვნული იდეა და ეს არის განათლება“, – აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

როგორც პრემიერმა განმარტა, საქართველოს პარლამენტმა მიიღო უკვე კანონი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებული იქნება ბიუჯეტის მეოთხედი, 25 პროცენტი მიმართოს განათლებაზე, ბავშვებსა და მომავალ თაობებზე.

„ეს არის იმის ერთადერთი გარანტი, რომ საქართველო შედგება როგორც წარმატებული და ერთიანი ქვეყანა 21-ე საუკუნეში.

დღეს, ამ უმშვენიერესი ადგილიდან, ვარიანიდან მინდა, მივაწოდო ქართულ საზოგადოებას ინფორმაცია, რომ სექტემბრიდან ქართულ სკოლებში დაბრუნდება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც შეძლო, ჩვენ დაგვებრუნებინა ქართულ სკოლაში „დედა ენა“. სექტემბრიდან ყველა პირველკლასელი უფასოდ მიიღებს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბავშვები, ისევე, როგორც მომავალი თაობები შემდეგი საუკუნეების განმავლობაში ისევე შეიყვარებენქართულ „დედა ენას“, როგორც ეს უყვარდათ ჩვენს წინა თაობებს და ეს წიგნი გვიყვარს ჩვენ“, – განაცხადა პრემიერმა და ასევე საზოგადოებას ვარიანიდან ვლაქერნობა მოულოცა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში 2019-2020 სასწავლო წლიდან ადაპტირებული ვერსიით დაბრუნდება და არსებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი გახდება.

სახელმძღვანელოს ადაპტირებული ვერსია საქართველოს პარლამენტის ინიციირებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა და მას ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლე უფასოდ მიიღებს.

ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2013 წელს მიენიჭა, ხოლო ეროვნული კატეგორია 2014 წელს განესაზღვრა.

## კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა

კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა და პროდუქციის გამოშვება დაიწყო.

წარმოების პროცესს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან, ირაკლი ქადაგიშვილთან და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, პაატა შეყელაძესთან ერთად გაეცნო.

„მთავრობის მიერ განხორციელებული აგრარული დარგის განვითარების მხარდამჭერი პროგრამები, რომლის ფარგლებშიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 190-ზე მეტი საწარმო შეიქმნა, არის წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული. ის სტანდარტი, რომელიც საწარმოში „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“ არის დანერგილი, ადასტურებს ჩვენს მიერ გაცხადებულ პოლიტიკას, ვიყოთ მაღალ ხარისხზე ორიენტირებული და ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო ბაზრებზე“, – განაცხადა გიორგი ხანიშვილმა.

„ჯორჯიაზ ნეიჩრლის“ ხილის და ბოსტნეულის გადამმუშავებელ მეურნეობაში წლიურად 4, 000 ტონა ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებაა შესაძლებელი, ამჟამად წარმოებული პროდუქცია საექსპორტო ბაზრებისთვის არის განკუთვნილი. საწარმოში დასაქმებულია 25 ადამიანი. კომპანია „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ბენეფიციარია. საწარმოში ჯამურად 2, 808, 920 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 630, 200 ლარი გრანტია, ხოლო 1, 252, 000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დაინერგა სტანდარტი ISO 22:000. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ორგანული წარმოების სტანდარტის დანერგვა და 2019 წლის აგვისტოში კომპანია დარეგისტრირდება როგორც „ორგანული პროდუქციის გადამამუშავებელი“ საწარმო.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით 200 ახალი საწარმოს შექმნა დაფინანსდა. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა, წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს არაერთ პროექტსა და პროგრამას, რომლებიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მათი მიზანია სოფლად ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

# საქართველო, როგორც 146-ე წევრი სურსათის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებას შეუერთდა

„მნიშვნელოვანია, რომ საქართველო სურსათის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებას შეუერთდა. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ ვმართოთ და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მდიდარი მცენარეული გენეტიკური რესურსი. საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველო აიღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მცენარეთა გენეტიკური რესურსების შენარჩუნებას მსოფლიო მასშტაბით“, – აღნიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

ხელშეკრულებაზე ახალი ხელმომწერი ქვეყნების შემოერთებას, ისევე როგორც დოკუმენტით გათვალისწინებულ შემდგომ პროცესებს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) არეგულირებს.

საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნები სარგებლობენ სხვადასხვა უპირატესობით, მათ შორის მცენარეთა გენეტიკური მასალების მსოფლიოში ყველაზე მსხვილ ბანკზე წვდომით. ამასთან, საქართველოს ექნება უფლება პროექტების მხარდასაჭერად მიმართოს „სარგებლის გაზიარების ფონდს“, რომელიც მხარს უჭერს განვითარებად ქვეყნებს შეინარჩუნონ და მართონ მცენარეთა გენეტიკური რესურსები სურსათის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისთვის.

საქართველოს, მცენარეული კულტურების კულტივაციის მდიდარი ისტორია გააჩნია. „საერთაშორისო კონსერვაციის“ მიხედვით, ქართული თავთავიანი კულტურები (პურის მარცვლეული) და პარკოსანი მცენარეები წარმოადგენენ „ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილს“. საქართველო დასავლეთ აზიური კულტურის მცენარეთა წარმოშობის ცენტრია და ქერის, ხორბლის, პარკოსნების, ვაზისა და მრავალი სახეობის ხილის სამშობლოდ ითვლება.

„ჩვენ მივესალმებით საქართველოს, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების უახლეს წევრს. საერთაშორისო ხელშეკრულების თანამეგობრობაში გაწევრიანება მნიშვნელოვანი ნაბიჯია მცენარეთა გენეტიკური რესურსების მართვისთვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსების მრავალფეროვნების კონსერვაციის, სურსათის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისათვის. გვჯერა, რომ საქართველოსთან ერთად მნიშვნელოვან ამოცანებზე ვიმუშავებთ“, – განაცხადა საერთაშორისო ხელშეკრულების მდივანმა, კენტ ნადოზიმ.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაში გაწევრიანება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ღ-ის პროგრამის მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელოვან შედეგად შეაფასა FAO-ს წარმომადგენელმა საქართველოში, რაიმუნ იელემ. „საერთაშორისო ხელშეკრულებაში გაერთიანება წარმოადგენს საკვანძო ეტაპს საქართველოსთვის, მისი მრავალფეროვანი მცენარის ჯიშებისა და სახეობების, მდგრადი სოფლის მეურნეობის და უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის“, – აღნიშნა FAO-ს წარმომადგენელმა საქართველოში რაიმუნ იელემ.

საქართველო უკვე არის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპული კოოპერაციის პროგრამის და არაერთი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულების წევრი. მათ შორის: ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია, საერთაშორისო მცენარეთა დაცვის კონვენცია, მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია, კიოტოს პროტოკოლი კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ფარგლებში და გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის მიზნით.

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

# ისტორიის გაკვეთილი ვლადიმერ პუტინისთვის – რეალურად, რა ხდებოდა საქართველოში 1918-20 წლებში



ოკუპანტი ქვეყნის ლიდერმა გუშინ „საქართველოზე მონყალება მოიღო“. როგორც ჩანს, ეშხში შევიდა და გარდა იმისა, რომ სხვადასხვა ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს დაწესებაზე უარი „მოსახლეობის პატივისცემით“ თქვა, გადაწყვიტა, ისტორიის გაკვეთილებიც ჩაეტარებინა.

რაც ჩვენ ვიცით, ის არ არის რაც პუტინს უნდა რომ ვიცოდეთ. პუტინისეული ისტორია კი ასეთია: 1774 წელს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, საქართველომ აფხაზეთის ოკუპაცია გერმანიის დახმარებით მოახდინა – მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველო გენოციდში ბრალდებული მონსტრია, რუსეთი კი პატარა და უმწეო ერების მხსნელი მესია.

პუტინის მიერ ეკატერინბურგში ჟურნალისტებთან გაკეთებული განცხადება იმის ზუსტი დემონსტრირება იყო, რაზეც ქართველები ხშირად ვამბობთ ხოლმე – 3 სიტყვაში 5 ტყუილი თქვაო. პუტინის ბნელი ტყუილისთვის ნათელის მოსაფენად, I. ისტორიკოსებს ესაუბრა.

მოდით, პუნქტობრივად განვიხილოთ პუტინის მითები და ქართული რეალობა.

• „ოსეთი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1774 წელს. შევიდა მთლიანად, როგორც სამხრეთი, ასევე ჩრდილოეთ ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“ – ამბობს პუტინი.

ისტორიკოს დიმიტრი სილაქაძის თქმით, დღევანდელი გაგებით სამხრეთ ოსეთი 1774 წელს არ არსებობდა, ის ტერიტორია კი, რომელიც დღეს ე.წ სამხრეთ ოსეთს უკავია, მეთვრამეტე საუკუნეში ქართლკახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, იქამდე სანამ რუსეთის იმპერიამ 1801 წელს ქართლკახეთის სამეფო არ დაიპყრო და გააუქმა.

ისტორიკოსის თქმით, 1774 წლის კონტექსტში მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთზე შეიძლება იყოს საუბარი, რასაც სამხრეთ ოსეთთან არანაირი კავშირი არ აქვს.

პროფესორი და „განათლების სახლის“ დამფუძნებელი ზაზა ცოტნიაშვილი გვეუბნება, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ცხინვალში ერთი ოსური ოჯახი ცხოვრობდა, ქალაქი კი ძირითადად ქართველებით, ებრაელებითა და სომხებით იყო დასახლებული.

„მეთვრამეტე საუკუნეში კავკასიის ჩრდილოეთ ქედზე იყო ოსური დასახლებები, რომლებიც ძირითადად მეცხოველეობით ირჩენდნენ თავს. ოსების ავტონომია შეიქმნა საბჭოთა კავშირის დროს და შეიქმნა ერთადერთი მიზნით – ისეთი რთული ვითარების დროს, როდესაც საქართველო უარს იტყოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნაზე, აეფეთქებინათ ეს და ეს გაკეთდა კიდეც 90იან წლებში“ – განმარტა AMBEBI.GE-სთან საუბარში ზაზა ცოტნიაშვილმა.

• ე.წ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით პუტინის ნარატივი რომ გავაგრძელოთ, ის გვეუბნება: „სასტიკად იქცეოდნენ ქართული ჯარები ოსეთში 1919 და 1920 წლებში. ეს არსობრივად იგივეა, რასაც დღეს გენოციდი ჰქვია“.

პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილის თქმით, ამ ტერმინს ასეთი გავლენის მქონე ადამიანები შემთხვევით არ იყენებენ.

„სიტყვა გენოციდი ნიშნავს ერის პრაქტიკულად განადგურებას, რასაც, რა თქმა უნდა, 20-იან წლებში ადგილი არ ჰქონია. თუმცა, დამოუკიდებელი საქართველოს 191820 წლების პერიოდში კონფლიქტი არსებობდა საქართველოს ხელისუფლებასა და აჯანყებულ ოს სეპარატისტებს შორის, რომლებიც კრემლიდან იმართებოდნენ.

ეს ამბოხება ბოლშევიკური იდეოლოგიის გავლენით ეწყობოდა, თუმცა ბოლშევიკები ამ შემთხვევაში ოსურ ეთნიკურ პოზიციებს იყენებდნენ, იმისთვის რომ ისინი წაექეზებინათ და შემდეგ ჯილდოდ გადაეცათ ის ტერიტორიები, რომლებიც დღეს მათ აქვთ. ეს ყველაფერი ბოლშევიკური იდეოლოგიის გასავრცელებლად ხდებოდა, რათა ისინი დაპირისპირებოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკას. ეს კონფლიქტიც სწორედ ამან გამოიწვია.

მაშინ საქართველოს დამოუკიდებელმა არმიამ ჩაახშო აჯანყება. რა თქმა უნდა, იყო მსხვერპლიც, მაგრამ გენოციდი როგორც ასეთი, წარმოუდგენელია ეს თქვას ისეთი გავლენის მქონე პოლიტიკოსმა, როგორიც არის ვლადიმერ პუტინი. მაგრამ ეს მას სჭირდება, როგორც ჰიბრიდული ომის იარაღი“ – განმარტა ზაზა ცოტნიშვილმა. პუტინის განცხადებას კი მიზანმიმართული „ჰიბრიდული ბომბი“ უწოდა.

• რაც შეეხება აფხაზეთს. პუტინი რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოსა და მისი რეგიონის – აფხაზეთის ურთიერთობას ასე გვიხატავს: „როდესაც ინგრეოდა რუსეთის იმპერია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საქართველომ სცადა აფხაზეთის გადაყლაპვა. შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და გერმანიის ჯარების დახმარებით 1918 წელს საქართველომ მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია“

„ესეც სიცრუეა – გერმანელების დახმარება საერთოდ არაფერ შუაშია, ყველაფერი შეთანხმებით მოხდა. ეს იყო 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დადებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა და ქართული გვარდია და არმია აფხაზეთის სახალხო საბჭოს თხოვნით იყო შეყვანილი ტერიტორიაზე, იმიტომ რომ ბოლშევიკებმა 1918 წლის აპრილიდან ერთი პერიოდი სოხუმი ხელში ჩაიგდეს და ქართულმა ჯარმა ბოლშევიკები განდევნა იქიდან.

ამის შემდეგ 1919 წელს უკვე დენიკინის წინააღმდეგ იბრძვის ქართული ჯარი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო 1920 წლის 7 მაისს თავად საბჭოთა რუსეთმა ცნო აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში. საუბარია, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ცალკე გამოყო. თუმცა პარადოქსიც იყო, რომ ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტისას, სოხუმი თბილისს ემორჩილებოდა.

1936 წელს საბჭოთა სახელმწიფომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ისევ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში დააბრუნა“ – ამბობს ისტორიკოსი დიმიტრი სილაქაძე.

პუტინმა ისტორიის გაყალბება არ იკმარა – საქართველოს ხელისუფლებაც გააფრთხილა და ურჩია, რომ არა რომელიმე სხვა, არამედ ისტორიის სწორედ მისეული ვერსია უნდა ახსოვდეთ თუ აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის მოგვარება სურთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველომ ისტორიის პუტინისეული ინტერპრეტაცია უნდა მიიღოს და თავი ოკუპაციაში დამნაშავედ სცნოს, თუ საკუთარ რეგიონებთან დიალოგის დაწყება სურს.

საბოლოო ჯამში, ისტორიკოსები პუტინის განცხადებას ჰიდბრიდული ომის პირობებში ისტორიის პროპაგანდისტული მიზნებით გაყალბებად აფასებენ, რომლის ერთადერთი მიზანია, საბოლოოდ მითვისოს საქართველოს ტერიტორიის ის 20%, რომელსაც დე ფაქტოდ დღეს უკვე აკონტროლებს.

ერთი რამ ცხადია, პუტინის რიტორიკა არ შეცვლილა, დამახინჯებული ისტორიული რეალობით, ის 2008 წელს რუსული ტანკების საქართველოს ტერიტორიაზე თარეშის გამართლებას ცდილობს...

**სალომე აბულაშვილი**
ambebi.ge

# რას ნიშნავს ბიოპროდუქტი და რა გზა უნდა გაიაროს მან, სანამ ჩვენს თეფშზე მოხვდება?

ბოლო პერიოდში ჯანსაღად კვება პოპულარული გახდა. ხშირად გვესმის ტერმინები ბიოპროდუქტი, ორგანული საკვები, რომლებიც ერთსა და იმავეს – ჯანმრთელ, ჯანსაღ, ქიმიური მინარევებისგან თავისუფალ პროდუქტს ნიშნავს.

ის, თუ რა გზას გადის პროდუქტი ჩვენთან მოსვლამდე, ჩვენს ჯანმრთელობაზე დროთა განმავლობაში აუცილებლად აისახება.

არაჯანსაღი საკვების მავნებლობის შესახებ ყველამ ვიცით, ვცდილობთ, სწრაფი კვებისგან, გაურკვეველი შემადგენლობის მქონე საკონდიტრო ნაწარმისგან თუ რძის პროდუქტების მიღებისგან თავი შევიკავოთ.

ბიოპროდუქტი ანუ ორგანულად წარმოებული საკვები:

1. არ არის გენეტიკურად მოდიფიცირებული.

2. არ შეიცავს კონსერვანტებს, ემულგატორებსა და სხვა არაორგანულ ნივთიერებებს.

3. მის საწარმოებლად ფერმებში ცხოველების გამოსაკვებად ან ზრდაგანვითარებისთვის ჰორმონების, ასევე ანტიბიოტიკების გამოყენება დაუშვებელია.

4. მინდვრებში მცენარეთა სწრაფი ზრდისთვის კი არაორგანულ სასუქს არ იყენებენ.

5. თესლბრუნვის პროცესი გათვალისწინებულია, რათა მცენარეები მავნებლებმა სწრაფად არ გაანადგურონ.

თავად წარმოიდგინეთ, რა რთულია, ამ მცირე ჩამონათვალის დაცვა, როცა კომპანიებს წარმოება ხელოვნური დანამატებით უფრო სწრაფად და დამატებითი ხარჯების გარეშე შეუძლიათ. ამიტომ მათი დიდი ნაწილი გენმოდიფიცირებულ და ემულგატორებით გაჯერებულ საკვებს გვთავაზობს.

დღეს, როცა საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით არაორგანული საკვების მავნებლობის შესახებ ბევრი ვიცით, მაინც აქტუალურია შეკითხვები ბიოპროდუქტის მოხმარება ჩვენი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისთვის რეალურად, უკეთესია? იწვევს თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტი სიმსივნესა და სხვა მძიმე დაავადებებს?

ჩვენ შევეცადეთ, ბიოპროდუქციასთან დაკავშირებით, თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ.

სანამ ბიოპური ჩვენს სუფრაზე აღმოჩნდება, გრძელ გზას გადის. ხორბალი გამონაბოლქვისგან თავისუფალ, ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორიაზე მდებარე ყანაში უნდა დაითესოს; ყანის განაყოფიერება და ჯეჯილის ზრდის დაჩქარება მხოლოდ ორგანული სასუქით შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღარ არის ორგანული.

ყანის მომკის შემდეგ კი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი იწყება. ორგანულად წარმოებულ პურში არცერთი ემულგატორი და ქიმიური ნივთიერება არ უნდა იყოს დამატებული, რათა მან ჩვენამდე ყველა სასარგებლო ვიტამინი მოიტანოს.

მცენარეული პროდუქტის წარმოებისას (ყავა, არაქისი, ბრინჯი, ზეთი, ძირითად შემთხვევაში, სინთეტიკური პესტიციდები, მოდიფიცირებული გენები ან ნავთობზე დაფუძნებული სასუქები გამოიყენება. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მისაღებად კი მინის განყოიერება მხოლოდ ორგანული სასუქებით შეიძლება (მაგალითად, კომპოსტი).

მაინც რატომ არის სასარგებლო ბიოპროდუქტები?

ბიოპროდუქტები შეიცავს ისეთ სასარგებლო ნივთიერებებს, როგორიცაა ანტიოქსიდანტები. ისინი ჩვენს უჯრედებს იცავენ თავისუფალი რადიკალებისგან ანუ არაჯანსაღი საკვებისგან, თამბაქოსგან და რადიაციისგან მიღებული მოლეკულებისგან.

გენმოდიფიცირებული პროდუქტი კი, რომლის ავკარგიანობაც ჯერ კიდევ დავის საგანია, საკვებში იმაზე ხშირად გამოიყენება, ვიდრე წარმოგვიდგენია.

**გაგრძელება მე-3 გვ. -ზე**

# კ ა ლ ა მ ო ე დ ა ნ ი

## კლუბის მორიგი აქცია

8 ივლისს, კლუბმა „კალამოედანმა“ მერიის მიმდებარე სკვერში გამართა „მწვანე აქცია“, რაც ითვალისწინებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნების მწვანედ შეღებვას. ეს გახლდათ ჩვენი კლუბის წევრის – თენგო ღუტიშვილის იდეა, რომელსაც მხარი დაუჭირა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვა დაგეგმილი აქტივობა.

მწვანე აქციაში კლუბის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მოხალისეები და მერიის წარმომადგენლები სხვადასხვა სოფლიდან.

ღებვის პროცესს აკვირდებოდნენ კლუბის ხელმძღვანელ – ქალბატონ ლია გიგიტაშვილთან ერთად მერიის თანამშრომლები და ქუჩაში გამვლელები. იყო შექებაც ბავშვების მისამართით. ღონისძიებას აშუქებდნენ: ყვარლის საცდელი საყმაწვილო სატელევიზიო სტუდია – ბატონი მერაბ ფირცხალაიშვილის ხელმძღვანელობით; ანა ხაჩიშვილი, რომელმაც ოპერატორის როლი მოირგო და მარიამ სიფრაშვილი – ტელე-ჟურნალისტის ამპლუაში.

მთელი კლუბის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ყვარლის მერს, ბატონ როსტომ სესიაშვილს, კლუბის იდეის წარმატებით განხორციელებაში და ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის მხარში დგომა.

**ანა ხაჩიშვილი**

## „კინო ჭიკაანი“

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანში არსებული კულტურის სახლი ახალი ძალით ამოქმედდა, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას ხალისიანი განტვირთვის საშუალება მისცა. აღდგა ფილმების ჩვენება უცვლელ ადგილას, იმავე დარბაზში. სოფლის კლუბი ადრეულ წლებში განთქმული იყო თავისი სილამაზითა და სიდიდით. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყვარლის რაიონის მასშტაბით. მაგრამ „ბნელმა წლებმა“ მძიმე კვალი დააჩნია გრანდიოზულ შენობას. კლუბი ძალიან დაზიანდა და ფუნქციონირება შეწყვიტა, შეწყდა ფილმების ჩვენება.

2017 წელს კულტურის სახლის გარე ფასადი გარემონტდა და შენობამ ადრინდელი ხიბლი დაიბრუნა. დღეს კი ჩვენ კვლავ შეგვიძლია მივიდეთ, შევიძინოთ ბილეთი და რამდენიმე საათით განვიტვირთოთ. „კინო ჭიკაანი“-ს დამფუძნებლების – გიორგი ხომალდიშვილის და ზურა ცუკილაშვილის მიზანია: სოფლის გამოცოცხლება და ახალგაზრდების გახალისება. ვინაიდან, დღესდღეობით ადამიანების უმეტესობა ინტერნეტს არის მიჯაჭვული, ახლა შესაძლებლობა აქვთ, რომ მეგობრებთან ერთად ნახონ ფილმი, დრო საინტერესოდ გაატარონ, გაერთონ, გაისეირნონ და ცოტა ხნით მოწყდნენ სოციალურ ქსელს.

კლუბის აღდგენის ინიციატორები და მხარდამჭერები არიან ყვარლის მუნიციპალიტეტის, მერი ბატონი როსტომ სესიაშვილი და ყვარლის კულტურის განვითარების სამსახურის უფროსი – ქალბატონი მაია ზარდიაშვილი.

**მარიამ სიფრაშვილი**

## რას ნიშნავს ბიოპროდუქტი და რა გზა უნდა გაიაროს მან, სანამ ჩვენს თეფშზე მოხვდება?

**დასაწყისი მე-2 გვ. -ზე**

მას ძირითადად, ჰერბიციდების გამძლეობის შესანარჩუნებლად იყენებენ, რათა პროდუქტი სწრაფად არ გაფუჭდეს. მაგალითად, ის ხშირად გვხვდება სოიოში, პაპაიაში, კანოლაში, ბურღულსა და ბევრ სხვა ნივთიერებაში, რო-მელსაც ყოველდღიურად მივირთმევთ და გვგონია, რომ ძალიან ჯანსაღად ვიკვებებით.

საქართველოშიც დიდი ხანია, გაჩნდა მოთხოვნა, რომ მხოლოდ ორგანული ჩაი, ყავა, თაფლი, ჯემი, კაკაო, შოკოლადი, ორცხობილა, მაკარონი, ბრინჯი თუ სხვა პროდუქცია მივიღოთ, თუმცა ხშირად არც კი ვიცით, რისგან დამ-ზადებულ საკვებს ვიღებთ.

შესაბამისად, გაჩნდა ისეთი სივრცის საჭიროება, სადაც სხვადასხვა დასახელების ორგანული პროდუქცია იქნებოდა თავმოყრილი და თანაც ყველა მათ-განის შემადგენლობას დეტალურად გაგვაცნობდნენ.

სწორდ მსგავსი სივრცეებით არის წარმოდგენილი სუპერმარკეტების ქსელი „ევროპროდუქტი“.მისი მიზანია, არაგენმოდიფიცირებული არამედ ბიოპრო-დუქტი შესთავაზოს თავის მომხმარებელს.

იმ ორგანული პროდუქტების დიდი ნაწილი, რომელიც „ევროპროდუქტშია“ წარმოდგნელი, ძირითადად, ექსკლუზიურია, ამიტომ ქსელმა ჯანსაღი კვე-ბის მოყვარულთა სახით ერთგული მომხმარებელი შეიძინა.

თუ ჯანსაღად კვება და ჯანმრთელობაზე ზრუნვა გადაწყვიტეთ, ეკოლოგიუ-რად სუფთა საკვების ასარჩევად, სანდო და მუდმივად ახალი პროდუქციის შერჩევაში „ევროპროდუქტი“ გაგიწევთ მეგზურობას.

„ევროპროდუქტის“ დირექტორი, გიორგი ოსეფაშვილი განმარტავს, რომ ბიო ნიშნის მინიჭება პროდუქტისთვის საკმაოდ რთული პროცესია, განსაკუთრე-ბით, ისეთ ქვეყნებში, საიდანაც კომპანია იმპორტს ახორციელებს. მისი ინ-ფორმაციით, წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, დაწყებული დარგვა-დათესვი-დან, დამთავრებული მოსავლის აღება-ჩაბარებით, ყველაფერი კონტროლდე-ბა.

„ნელ-ნელა ბიო პროდუქტების შესახებ ინფორმაცია უფრო ფართოდ ვრცელ-დება საზოგადოებაში, მათ იციან, რომ თუ ევროპულ პროდუქტს აქვს ბიო ნიშანი, ეს ნამდვილად ნიშნავს, რომ მისი წარმოებისას დაცულია ორგანული პროდუქტის ყველა სტანდარტი. მთელ მსოფლიოში ადამიანები ცდილობენ იცხოვრონ ჯანსაღად, იკვებონ ორგანული პროდუქციით, ეს ტენდენცია ჩვენს ქვეყანაშიც შეინიშნება, რაც ძალიან სასიხარულოა“, – აღნიშნავს გიორ-გი ოსეფაშვილი.

ჩვენს ქვეყანაში „ევროპროდუქტმა“ პოპულარობა სწრაფად მოიპოვა. ახლა მას უკვე ბევრი მომხმარებელი ენდობა. გიორგი ოსეფაშვილი განმარტავს, რომ ეს მომსახურების მაღალმა ხარისხმა განაპირობა.

„მეორე ფაქტორი, რატომაც ვთვლით, რომ კარგად ვვითარდებით, არის ის, რომ მუდმივად ვაფართოვებთ ჩვენი პარტნიორი კომპანიების რიცხვს, მუდმივად ახალი უმაღლესი ხარისხის პროდუქტი შემოგვაქვს. ჩვენს მაღაზიებში ექსკლუზიურ ნაწარმსაც შეხვდებით, რაც სხვაგან არსად იყიდება. „ევროპროდუქტში“ პროდუქცია უშუალოდ ქარხნებიდან მოგვაქვს რაც განაპირო-ბებს მისი ფასის ხელმისაწვდომობას. თითოეული ადამიანი, ვინც ჩვენს მარ-კეტებს სტუმრობს, გვენდობა და იცის, რომ დახლებზე მხოლოდ ხარისხიან პროდუქციას შეხვდება. ეს არის ის, რის საფუძველზეც „ევროპროდუქტი“, როგორც კომპანია შედგა და თავისი ნიშა დაიჭირა, საკმაოდ კონკურენტულ ბაზარზე“, – განაცხადა გიორგი ოსეფაშვილმა.

ambebi.ge

### არც შენ არ ხარ და მაინც არსებობ

დგახარ და ელი, ელი და დგახარ,
უზარმაზარი ფიქრით ავსილი,
თვალებს აცეცებ, იძახი სად ხარ?!
მინდა რომ გითხრა, აქ ვარ დაღლილი!
აცეცებ თვალებს, უცქერი ყველას,
მე კი ვერ მამჩნევ შენს წინად მავალს,
ყველას უღიმი, უღიმი ყველას,
სითბოთი ავსებ მავანს და მავანს.
როგორ გეტყობა, რომ ხარ პოეტი,
როგორი კარგი და უბოროტო,
მე მხოლოდ შენგან მზერას მოველი,
მეტს კი არაფერს ჩემო თვალსწორო,
მზის სხივიც უმალ დაგედევნება,
მგონი ვერა სძლებს ისიც უშენოდ,
მე სხვა არავინ არ მეგულება,
არც შენ არ ხარ და მაინც არსებობ.

**გიორგი ზუბიტაშვილი**

### ახალ დროების სინდრომი

ისევ მთვარეს მივაშურე გეზი,
ისევ ღამით დავაპირე წასვლა.
ქარი იყო გონებაში თუმცა,
მოვახერხე კოშმარების წაშლა.
არ მინდოდა მეტი ცუდი გრძნობა,
სურდოც მღლიდა გამუდმებით შეშლილს.
ძნელი არის გულში სულის ფლობა,
როცა ყველას დაინახავ შეცვლილს.
თითქოს ირგვლივ მეტობაა წამის
და გრძნობები იატაკზე ყრია,
დროც კი უცებ შეიცვალა ძალით,
უნდა მოხვდეს გაყინული ტყვია.
ნეტარების სინდრომია მაღლა,
ცოტა ქვევით საცავია ხალხის.
ხეებსაც კი დიდი დროის შემდეგ,
მხოლოდ კვალი შერჩენია ხავსის.
დედამიწა ვეღარ სუნთქავს ჟანგბადს,
გამოფიტულ სხეულს ვეღარ იღდგენს.
მძიმეა და მტანჯველია დაღლა,
მაგრამ კვლავაც იობივით ითმენს.

**ოთო ბერიძე**
**კალამოედანის სტუმარი აჭარიდან**

* * *

ვფიქრობ, რა მალე გავიდა დრო,
მიჰქრის და შენც მასში იკარგები,
გინდება წარსულში,
ბრუნდები...

და ამბობ:
„ღმერთო, მომავალში გავფრინდები”...
დრო!
ეხ დრო! ... რა უცებ გარბის...
ვერ გრძნობ წამების ფეთქვას,
ვერ ასწრებ გრძნობების რითმვას...

რაც მთავარია, გრძნობ სუნთქვას,
ამოსუნთქვას,
ჰაერის ნაზ შეხებას შენდამი...
ისუნთქე! იცხოვრე!
დროში მაინც არ დაიკარგები!

**მანანა წყალობაშვილი**

## ექსკურსია ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე

2 ივლისს, ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბ „კალამოედანი“-ს წევრები ხელმძღვანელ – ლია გიგიტაშვილთან ერთად ვიმყოფებოდით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე.

შესაბამისად, მოვინახულეთ ნაკრძალი, რომლის სილამაზემ და რელიეფის განსხვავებულობამ ჩვენში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

ამასთანავე, განვახორციელეთ ჩვენი სტუმრობის მთავარი მიზანი – გადავიღეთ ვიდეო-სიუჟეტი „ერთი დღე ნაკრძალში“, რომელიც ერთგვარი გზამკვლევი იქნება ნაკრძალის მნახველთათვის.

ჩვენ გვმასპინძლობდნენ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების დირექტორი – ბატონი გიორგი სულამანიძე და ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომელი – ბატონი გიორგი ედიშერაშვილი.

ნაკრძალის დირექტორმა მოგვაწოდა მაქსიმალური ინფორმაცია აღნიშნული ტერიტორიების შესახებ, რომელიც აუცილებლად იქნება გამოყენებული ჩვენს ფილმში. ბატონმა გიორგი ედიშერაშვილმა კი, თავის თავზე აიღო გიდობა და გვიმასპინძლა ნაკრძალის მუზეუმში.

თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს ნაკრძალის სტუმრებმა, პოლონელმა ტურისტებმა.

დღის ბოლოს ვესტუმრეთ „ძველ სახლს“, სადაც არაჩვეულებრივად გაგვიმასპინძლდნენ.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ვიდეო-სიუჟეტი გახდება ბევრი ტურისტის გზამკვლევი და უფრო მეტ ადამიანს გაუჩენს ნაკრძალში მოგზაურობის სურვილს.

ყველაფერთან ერთად, ეს იქნება ერთგვარი გამოხმაურება იმ აქციისა, რომელშიც მთელი საქართველო და არა მხოლოდ საქართველოა ჩართული – „გაატარე შენი ზაფხული საქართველოში“.

ეს იდეა ვერ განხორციელდებოდა, რომ არა ყვარლის მერი ბატონი როსტომ სესიაშვილი, გიორგი ედიშერაშვილი და კლუბის პრეზიდენტი – ქ-ბატონი ლია გიგიტაშვილი. მადლობა მათ თანადგომისთვის.

**ანა ხაჩიშვილი**

## წიგნების სამყარო



ყველა ამბობს, რომ წიგნის კითხვა ძალიან მიყვარს. მე კი ჩემს თავს ლიბერთინისს ერთგულ მკითხველს ვუწოდებდი. თითოეული წაკითხული წიგნი მიტოვებს განსხვავებულ შთაბეჭდილებას. ზოგი ემოციური შთაბეჭდილებაა, ზოგი პოზიტიური, ზოგიც ნეგატიური. ვიქტორია ავეიარდის „წითელი დედოფალი“ ისეთი წიგნია, რომლის დასრულებისას ეს ემოციები ერთდროულად განვიცადე.

„წითელი დედოფალი“ არის წიგნი, რომელშიც საზოგადოება სისხლის ფერის მიხედვითაა დაყოფილი. ვერცხლისფერები განცხრომაში ცხოვრობენ, ხოლო წითლები – იტანჯებიან. წიგნის მთავარი პერსონაჟია მერ ბაროუ, რომელსაც თავი ჩვეულებრივი გოგონა ეგონა, სანამ მისი ცხოვრება არ შეიცვალა და გაიგო, რომ ის არც წითელია, არც ვერცხლისფერი, არამედ ორივეზე ძლიერი.

წიგნის კითხვისას მოხიბლული ვიყავი, ხოლო დასასრულმა შოკირებული დამტოვა, რადგან როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს, „ნებისმიერს შეუძლია ნებისმიერის ღალატი“ წიგნის მეორე ნაწილში კი, სიტუაცია უფრო იძაბება.

თუ თქვენც ჩემსავით გიყვართ სათავგადასავლო „ფენტეზი“, აუცილებლად უნდა წაიკითხოთ „წითელი დედოფალი“.

**ნატა ცუკილაშვილი**

# საქართველო – ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი უძველესი კერა

### ბოტანიკური ბაღის არქივი

საქართველო – ხორბლის კულტურის უძველესი კერა – გამოირჩევა ამ მცენარის დიდი სახეობრივი და ჯიშობრივი მრავალფეროვნებითა და ენდემიზმის მაღალი დონით.

ისტორიული წყაროებით, ხორბალი საქართველოში ჯერ კიდევ ნეოლითსა და ადრებრინჯაოს პერიოდებიდან არის ცნობილი, როცა საქართველოში ხორბალთან ერთად უკვე ითესებოდა ქერი, ფეტვნაირები, საზეთე-ბოჭკოვანი კულტურები, მოშენებული იყო ვაზი და ხეხილი. არქეოლოგიური მონაცემებით, ხორბლის კარბონიზებული მარცვლები აღმოჩენილია ძვ.წ.აღ. VI-IV ათასწლეულის ძეგლებზე (არუხლო, ხრამის გორა, შულავერი, ჩიხორი, ხელთუბანი). მიწათმოქმედების პირველი ნიმუშები თარიღდება მეზოლითის პერიოდით.

ანტიკური საბერძნეთის ისტორიკოსების, ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს შრომებში მოცემულია ცნობები საქართველოში ხორბლის გავრცელების შესახებ. მოგვიანებით, სულხან-საბა ორბელიანი (1658 – 1725 წწ.), ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.), და სხვები თავიანთ ნაშრომებში გვაწვდიან ცნობებს საქართველოს ხორბლების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ქართული ხორბლები ხორბლების სხვა სახეობებისგან გამოირჩევა მთელი რიგი თვისებებით, რაც მათ განსაკუთრებულ სელექციურ ღირებულებას ანიჭებს. ქართული სახეობები გამოირჩევა სოკოვანი დაავადებების მიმართ მაღალი კომპლექსური იმუნიტეტით, გარემოსადმი ადაპტაციის მაღალი უნარით, პურცხობის და სხვა საუკეთესო თვისებებით.

გარდა იმისა, რომ ხორბალი წამყვანი კულტურა იყო საქართველოში, ჩვენი წინაპრები მას ასევე იყენებდნენ, როგორც სამკურნალო მცენარეს.

„ბავრუკი“, „თანგარი“, „ნიშო“ და სხვა სახელწოდებით ცნობილი ხორბლის სახამებელი, იხმარებოდა ხველებისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ. ხორბლის ფქვილისაგან ძმარში მოზელილი ცხელი ცომი გამოიყენებოდა დაჩირქებული ადგილების მოსაშუშებლად. თეთრ შაბთან შერეული დანაყული, მოხალული მარცვლით მკურნალობდნენ სტომატიტს. ორი დღე ალბობდნენ მარცვალს და შლიდნენ ნაჭერზე. აჯეჯილებულს ახმობდენენ, ფქვავდნენ, ხარშავდნენ, აზავებდნენ ერბოთი და მარილით. ეს საკვები აწესრიგებს კუჭის მოქმედებას. სამცხე-ჯავახეთში მელოგინე ქალს უმეტესად ასეთი ფაფით კვებავდნენ.

სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 20 სახეობიდან 12 სახეობის სამშობლოა წინა აზია, ხოლო 8 სახეობა წარმოიშვა სამხრეთ კავკასიიდან. მათგან 5 – საქართველოს ენდემიასულ საქართველოში აღწერილია ხორბლის 14 სახეობა, 150-ზე მეტი სახესხვაობა, ფორმა და აბორიგენული ჯიში.

ხორბლის ენდემური სახეობებისა და ფორმების სიმრავლით საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია.

გამორჩეული სამეურნეო თვისებების წყალობით, ქართული ენდემური ხორბლის სახეობებს ერთერთი წამყვანი ადგილი უკავია ხორბლის ჯიშების სელექციის საქმეში და დიდი როლი შეასრულა ხორბლის მრავალფეროვანი ჯიშების და ჰიბრიდული ფორმების შექმნაში.

### ზანდური

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობა ზანდური, განიხილება, როგორც ხორბლის პრეისტორიული კულტურის უნიკალური ძეგლი. ზანდურის ცენოზში დადგენილი ძირითადი სამი სახეობიდან. – ჩელტა ზანდური და ჟუკოვსკის ხორბალი – საქართველოს ენდემებია. ზანდური მოხსენებულია სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ და რაფიელ ერისთავის ლექსიკონში (1884).

ზანდური მთის ხორბლებს შორის პირველ ადგილზე დგას, რადგან გამორჩეულია მაღალი გამძლეობით ჩანოლის, სოკოვანი დაავადებების, ნიადაგის და კლიმატური პირობების მიმართ. მწირ ნიადაგზე იძლეოდა ჰექტარზე დაახლოებით 10 ცენტნერ მოსავალს. ითესებოდა რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთსა და სამეგრელოში.

ჩელტა ზანდური – დასავლეთ საქართველოში მოყავდათ ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთსა და სამეგრელოში, 400-800 მ.ზ.დ. სიმაღლეზე.

საგაზაფხულო მცენარეა, საშუალო სიმაღლისაა (100-120 სმ.). ნახევრად გართხმული, მწვანე. ღერო წვრილია, კარგად შეფოთლილი. ფოთოლი გრძელია, განიერი, შებუსვილია გრძელი ბეწვებით. ასეთი გრძელი ბეწვი ხორბლის არც ერთ სხვა სახეობას არ აქვს. თავთავი 4-8 სმ. სიგრძისაა. მარცვალი წითელია, რქისებური, წაგრძელებული. გამძლეა ჟანგა სოკოების მიმართ.

ჟუკოვკის ხორბალი – მორფოლოგიურად ჩელტა ზანდურის მსგავსია. ცნობილია გვალვა – და ყინვაგამძლეობით. იზრდება ნებისმიერი ტიპის ნიადაგზე. თესავდნენ გვიან შემოდგომაზე.

ზანდურის ფქვილისაგან დამზადებული პური გემრიელი და არომატულია, მთელი კვირის განმავლობაში ინარჩუნებს სირბილეს. ამიტომ, ლაშქრობისა და მგზავრობის დროს ხშირად იყენებდნენ. ზანდურის ფქვილისაგან, განსაკუთრებით მარხვის პერიოდში, მზადდებოდა კორკოტი.

მოსავლის აღების შემდეგ, ღეროებისგან შეკრული კონებს იყენებდნენ საცხოვრებელ სახლებისა და საბძელის გადასახურად.

### მახა

მახა ხორბლის კულტურის პალეორელიქტი და მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლია. მისი კარბონიზირებული მარცვლები აღმოჩენილია სამეგრელოში (ზუგდიდის რაიონი, დიხაგუძუბა).

სახესხვაობათა და ფორმათა სიმრავლით აჭარბებს საქართველოს ყველა სხვა ენდემურ ხორბლებს. გავრცელებული იყო რაჭა – ლეჩხუმში, სვანეთში, იმერეთსა და სამეგრელოში. ნიადაგის მიმართ ნაკლებ მომთხოვნია, ადვილად ეგუება კირქვიან, ხრეშიან ნიადაგსა და ტენიან პირობებს.

მახას ფქვილისაგან მოზელილი ცომი წელვადია და კარგად მაგრდება თონის კედლებზე. გამოდგება სახაჭაპურედაც.

მახას პური დიდად ფასობდა მოსახლეობაში. მისი ფქვილისაგან ცხვება თეთრი, კარგი გემოსა და არომატის მქონე სურნელოვანი პური, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ინარჩუნებს სირბილეს. საპატიო სტუმრებს წვეულების დროს მახას პურით უმასპინძლდებოდნენ.

მხედველობის გასაუმჯობესებლად სვამდნენ მახას მარცვლის ნახარშს. ხოლო, მისი ფქვილისაგან მზადდებოდა „ხაბიზგინა“ – ნიგვზითა და ხახვით შეზავებული პური.

ამჟამად მახას ნათესი, ისევე როგორც ზანდურისა, იშვიათად გვხვდება.

### ქართული ასლი

ხორბლის რელიქტური, ენდემური სახეობა – ქართული, იგივე „კოლხური“ ასლი, 1940 წელს ნაპოვნია კოლხეთის ენეოლითური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე.

მორფოლოგიური ნიშნებით ახლოს დგას ხორბლის ველურ ფორმებთან. გამძლეა გუდაფშუტებისადმი. გამოირჩევა მარცვლის კილიანობით და ძნელად ღეწვადობით.

ქართული ასლის მარცვალში მაღალია ცილების და ცილაში ამინომჟავა ლიზინის შემცველობა. იძლევა მაღალი ხარისხის ფქვილს. მოჰყავდათ რაჭა – ლეჩხუმსა და იმერეთში.

### დიკა

საქართველოში წარმოშობილი და ჩამოყალიბებული ერთ-ერთი უძველესი ხორბალია, რომელიც მოხსენიებულია უძველეს წერილობით წყაროებში, დაბადების ნათარგმნ და ორიგინალურ ძეგლებში (დაბადება, ბიბლია, ნაწ. I – II, 1884), გიორგი მთაწმინდელის (X–XI სს.) ერთ-ერთ თხზულებაში და უფრო გვიანდელ ჩანაწერებში. ფერეიდანში დღესაც შემორჩენილია ამ სახეობის ქართული სახელი „დიკა“.

მაღალი მთის საგაზაფხულო, ყინვაგამძლე ხორბალია. გამოირჩევა მცირე მოთხოვნილებით სითბოს მიმართ. იოლად იტანს ნალექის სიჭარბეს. დიკას არა ერთი სახესხვაობა, ფორმა, ჯიში და ვარიაცია გავრცელებული იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებში: გორი, დუშეთი, თიანეთი, მანგლისი, წალკა, დმანისი, ბორჯომ-ბაკურიანი, ერწო-მთიანეთი, ფშავი, ჯავახეთი, მესხეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და სხვ.

ქართული ხორბლებიდან ერთ-ერთი ძვირფასი სახეობაა, გამორჩეული მაღალი სამეურნეო თვისებებით. ნაკლებად მომთხოვნია გარემო პირობებისადმი, ადვილად ღეწვადი, ჩაწოლისა და ჩაცვენისადმი გამძლე, ადრემოსავლიანი, სოკოვანი დაავადებების მიმართ მძლავრი იმუნიტეტის მქონე სახეობაა. სხვა ძვირფას თვისებებთან ერთად, დიკას მარცვალში მაღალია ცილებისა და ლიზინის შემცველობა.

მსოფლიოში ცნობილი დიკას ფორმებიდან, ამ სახეობის ყველაზე დიდი მრავალფეროვნება საქართველოს ფარგლებში გვხვდება. დღეს ეს სახეობა მოყავთ შავნაბადას მონასტრის ბერებს.

**წყარო: qartuli-xorbali.ge**

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# ნემატოდები – მცენარეთა უხილავი მავნებლები

ნემატოდები (Nematoda) ცხოველური წარმოშობის პარაზიტები არიან, მიეკუთვნებიან მრგვალი ჭიების ტიპს, გვხვდებიან სხვადახვა სუბსტრატზე, განსაკუთრებით ბევრია ნიადაგში, სადაც ისინი მრავალუჯრედიანი ცხოველური ორგანიზმების 90%-ს შეადგენენ.

ცნობილია ნემატოდების 80 ათასამდე სახეობა. მათი უმრავლესობა საპროფიტია, ნაწილი კი იწვევს ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების დავადებებს. მცენარეებზე დასახლებულ ნემატოდებს ფიტოჰელმინთები ეწოდება, მათზე დაავადებების გამომწვევებს კი ფიტოპათოგენური ნემატოდები.

ფიტოპათოგენური ნემატოდები მოგრძო ფორმის, ორმხრივ სიმეტრიული მრგვალი ჭიები არიან. სიგრძე-0,5-3 მმ, სიგანე-0,01-0,5 მმ. დედალი და მამალი ინდივიდების სხეულის ფორმა უმეტესად ერთნაირია, ზოგიერთი სახეობის შემთხვევაში კი დედალი ზოგჯერ თითქმის ბურთისებურია.

ფიტოპათოგენური ნემატოდების აგებულებაში სპეციფიკურია პირის აპარატის აგებულება: მას აქვს მილის ფორმის სტილეტი, რომელსაც ასობს მცენარის ქსოვილში და ბულბუსი, რომელიც ტუმბოს როლს ასრულებს და იწოვს უჯრედის შიგთავსს. სტილეტის საშუალებით ისინი მცენარეში უშვებენ ფერმენტებს და ტოქსიურ ნივთიერებებს, ისინი ნემატოდას ეხმარებიან მცენარის უჯრედის შიგთავსის გადამუშავებაში.

ნემატოდების მიერ მცენარის უჯრედებში ჩაშვებული ფერმენტები და ტოქსინები არღვევენ მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს: კვებას, წყლით უზრუნველყოფას და სხვ., რასაც მივყევართ მცენარის ჭკნობასთან, ცალკეული ნაწილების ნეკროზებთან, გალების წარმოქმნასთან და ა.შ.

ნემატოდების დაჯგუფება მცენარის დაზიანების და ცხოვრების ნირის თავისებურების მიხედვით:

- ფოთლის ნემატოდები;
- ღეროს ნემატოდები;
- ფესვის ნემატოდები:

ა) ფესვის გალიანი ნემატოდები;

ბ) ფესვის მოძრავი ნემატოდები;

გ) ფესვის ექტოპარაზიტი ნემატოდები.

ზოგიერთი ნემატოდა წარმოქმნის ცისტას, რომელიც 10 წლამდე ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას.

ნემატოდები მრავლდებიან კვერცხით, რომელსაც დედალი დებს სუბსტრატზე ან გალში ანდა მკვდარი დედლის სხეულში, რომელიც ცისტადაა გადაქცეული. კვერცხი იდება 14-15 გრადუსი ტემპერატურის დროს. 30 გრადუსზე კვერცხში ნემატოდის განვითარება 20-25 დღეს გრძელდება, დაბალ ტემპერატურაზე კი შეიძლება 3 თვემდე გაგრძელდეს.

ამის მიხედვით ნემატოდას შეიძლება ჰქონდეს 1-დან 4-5 თაობამდე. კვერცხების რაოდენობა 1-4 დან 500-1000 ცალამდეა.

მცენარეში იჭრებიან ფესვის ბუსუსებიდან, ბაგეებიდან, ჭრილობებიდან. ნემატოდები ერთი მცენარიდან მეორეზე ვრცელდებიან ნიადაგით, მწვანე ოპერაციებით, ნაკელით და სხვ.

ნემატოდა ნიადაგში დიდხანს არ ცოცხლობს, გამხმარ ფოთლებში კი შეუძლია რამდენიმე წელს გაძლოს. დაავადებას ხელს უწყობა ნიადაგის მაღალი ტენიანობა, 25-30ºC ტემპერატურა, ph-5,5-5,8.

ნემატოდები ხშირად გვხვდებიან სათბურებში.

რაც შეეხება ნემატოდების კლასიფიკაციას, ისინი მიეკუთვნებიან: ტიპი – მრგვალ ჭიები: ემატოდა; კლასი – ჩჰრომადორეა, მნიშვნელოვანია რიგები: 1) რაეოლაიმიდა 2) ენტჰიმერმიტჰიდა.

ნემატოდები ხშირად გვხვდებიან კარტოფილზე, ჭარხალზე, სათბურის მცენარეებზე და სხვ.

ნემატოდები, გარდა იმისა, რომ თვითონ იწვევენ დაავადებებს, ხელს უწყობენ სხვადასხვა ბაქტერიული, სოკოვანი და ვირუსული დაავადების გავრცელებას.

მათი დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება ვიზუალური დიაგნოსტიკის და მიკროსკოპული ანალიზის მეთოდები.

ნემატოდებთან ბრძოლისათვის გამოიყენება:

**პროფილაქტიკის მიზნით:**

ნიადაგის დეზინფექცია;

საღი სარგავი მასალა;

ნიადაგის ტენიანობის და ტემპერატურული რეჟიმის დაცვა სათბურებში.

**დაავადების შემთხვევაში:**

ფესვების თერმული დამუშავება;

ნემატიციდების გამოყენება;

ხალხური საშუალებები – ანტიჰელმინთური პრეპარატებით მორწყვა (1 ტაბლეტი 1 ლ წყალზე) და სხვ.

agrokavkaz.ge

# მავნებლებთან ბრძოლის ხალხური მეთოდები

ჩვენი არა ერთი მკითხველი, დაინტერესებული მეურნე, წერილობით თუ პირად საუბრებში გვთხოვენ, მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ მავნებელ მწერებთან, მღრღნელებთან თუ მცენარეთა სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან ხშირად, მათივე თქმით, სხვადასხვა ქიმიური პრეპარატები უკუშედეგს იძლევიან.

რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის თუ წესების დაცვით ვიმოქმედებთ, თუმცა, ახლა ჩვენს მეურნეებს ვთავაზობთ სხვადასხვა ხალხური მეთოდით მავნებლებთან ბრძოლის წესს.

საუკეთესო საშუალებაა მწარე წიწაკის ნაყენი, რომლის გამოყენებით მთლიანად ინკურნება წვრილი ბუგრებისგან ვარდები, სხვადასხვა ჯიშის გეორგინები და ბოსტნეული. ეს ბუგრები შეუმჩნევლად ჭამენ და ბადეებივით აქცევენ ფოთლებს.

ავიღოთ 10-15 ცალი წიწაკა და წინა დღით დავალბოთ წყალში. მეორე დღეს გადავიღოთ ქვაბში და ავადუღოთ თავდახურულად, სასურველია, ეს გარეთ გავაკეთოთ, რადგან მძაფრმა სუნმა ცემინება და ალერგია არ გამოიწვიოს. წამოდუღებიდან ხუთი წუთის შემდეგ გადმოდგით, გაგრილდეს, გაწურეთ და წილობრივად 1:10 შეურიეთ წყალი.

მშრალ ამინდში, დილით მოასხურეთ ყველაფერს, ყვავილებს, ბოსტნეულს, სადაც კი შეამჩნევთ ბუგრების, პეპლების მავნებლობას. ეს პროცედურა გაიმეორეთ მესამე დღეს. 10-15 დღის შემდეგ ნახავთ, რომ ყვავილებს თუ ბოსტნეულს ახალი ნაყარი აქვს, გამთლიანდა და ფოთლებს სიხასხასე დაეტყო.

მწერების და ბუგრების წინააღმდეგ ასევე კარგი საშუალებაა პომიდვრის ნასხლავი. ყველამ იცის, რომ პომიდორს არც ისე იშვიათად სჭირდება ზედმეტი ნაყარის შეცლა. ის უნდა გავახმოთ და შემდეგ დაქუცმაცებული მოვხარშოთ. 20 წუთის დუღილის შემდეგ გადმოვდგათ. გაგრილდეს და შემდეგ გავწუროთ.

ეს ნახარში ერთი ლიტრის ოდენობით შევურიოთ ხუთ ლიტრ წყალს. მცენარეებს შევასხუროთ დილით, კარგ ამინდში. ის სპობს არა მარტო ბუგრებს, არამედ, სხვადასხვა ფოთოლჭამია და ნაყოფჭამია მატლებს, ე. წ. მუხლუხოებს.

თუ არ დავიზარებთ და ამ მეთოდს მთელი სეზონის მანძილზე გავიმეორებთ, საუცხოო შედეგს მივიღებთ. ამასთანავე, დავზოგავთ ჩვენს ეკონომიკას. შეგახსენებთ, რომ როცა ჭიანჭველას „გორები“ შეგხვდებათ, არავითარ შემთხვევაში არ მოსპოთ! ერთ ასეთ ჭიანჭველების „გორას“ შეუძლია სეზონზე მილიონამდე მწერი გაანადგუროს. ასევე ნუ ებრძვით თხუნელას, ის მავნებლების საუკეთესო გამანადგურებელია! მოსპეთ მხოლოდ მახრა!

საუკეთესოა ფარსმანდუკის ნაყენიც. მინისზედა გამხმარი ნაწილი, ნახევარი კილოგრამი, დავაქუცმაცოთ და დავასხათ მდუღარე წყალი. დავდგათ ერთი საათით, შემდეგ ერთ ლიტრამდე ასეთ ნაყენს 10 ლიტრი წყალი დავამატოთ და დავდგათ ერთი დღეღამის განმავლობაში. მერე გავწუროთ და ზემოთ მითითებული წესის მიხედვით შევასხუროთ მცენარეებს თუ ბოსტნეულს.

კიდევ ერთი ძალზე გავრცელებული დაავადებაა გოგროვანების ნაცარი. ის განსაკუთრებით იჩენს თავს ზაფხულის პერიოდში – კიტრის და გოგრის ფოთლები იფარება ნაცრისფერი ლაქებით, შემდეგ კი გაყვითლების პროცესი ენაცვლება და მცენარე ფაქტიურად კვდება.

ხშირად ასეთი პროცესი წვიმების ან პირქით გვალვების დროს ვითარდება. ამიტომ, მუდამ ყურადღებით უნდა ვიყოთ და მივხედოთ გოგროვანებს. შემჩნევისთანავე სასწრაფოდ გამოვიყენოთ 0,5 %-იანი კოლოიდური გოგირდის ხსნარი.

ხალხურ მეთოდს თუ მიმართავთ, ასევე, იყენებენ ჩვეულებრივი შეშის წვისას გამოყოფილ ნაცარს, რომელიც თავის მხრივ გაცრილი უნდა იყოს და დილაადრიან, კარგ ამინდში, შევაფრქვიოთ გოგროვანთა ფოთლებს.

# ...მაყურებლებს და გულშემატკივრებს შევთავაზებთ ბევრ ახალ, საინტერესო და რთულ საცეკვაო ნომრებს

*სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „BALANCE“ ყვარელში ერთადერთია, სადაც საშუალება აქვთ აქაურ ბავშვებს და მოზარდებს დაეუფლონ ლათინო-ამერიკულ და სპორტულ ცეკვებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყვარელში არცთუ მრავალფეროვანი არჩევანი არსებობს სპორტის სახეობების, სადაც შეიძლება ბავშვები, მითუმეტეს გოგონები მიიყვანო, რომელთაც აუცილებლად ჭირდებათ ფიზიკური დატვირთვა და სწორი ვარჯიში, ეს სტუდია ძალიან კარგი საშუალებაა ამ მხრივ.*

*მაგალითად, თავის დროზე, როცა ჩემი შვილი მოიზარდა და აუცილებლობა დავინახე ამის, სურვილი მქონდა ბავშვი მხატვრულ ტანვარჯიშზე მიმეყვანა, თუმცა ეს შეუძლებელი იყო, რადგან სპორტის ეს სახეობა ყვარლის სინამდვილეში არ არსებობს. ამის დეფიციტი კი მთლიანად შეავსო სამეჯლისო ცეკვების სტუდიამ და მისმა ხელმძღვანელმა თათია ხიზანიშვილმა, რომელიც უზომოდ შეყვარებულია საკუთარ საქმეზე. ნიჭიერი ქორეოგრაფი, ენთუზიზმით და ახალ-ახალი იდეებით სავსეა. უზომოდ მადლიერი ვარ, რომ ამ ცეკვებმა და ამის პარალელურად თათიას ტანვარჯიშის გაკვეთილებმა ბევრი ისეთი პრობლემა აგვარიდა, რაც დღევანდელ მოზარდ თაობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.. ეს პრობლემა კი უპირველესად უკავშირდება სქოლიოზს, რომელიც დედამინაზე მცხოვრები თითქმის ოთხმოცი პროცენტი მოზარდების პრობლემაა.*

*მინდა ყველა მშობელი სერიოზულობით მოეკიდოს ამ საკითხს და გაითავისოს ამ პრობლემის სიმძაფრე. თუ ამ საკითხს სერიოზულად შევხედავთ მენტალურ პრობლემასაც გადავწყვეტავთ, რაც გარკვეულ ცხოვრებისეულ ბარიერს გვიქმნის და რაზეც თავად თათიაც საუბრობს ამ ინტერვიუში.*

*მე კი ისღა დამრჩენია გაგაცნოთ თათია და მისი საინტერესო საქმიანობა:*

**– თათია, მოგვიყევი რა ასაკიდან დაიწყე ცეკვა, ზოგადად შენი შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ რა შეგიძლია გვითხრა?**

– ცეკვა დავიწყე 7 წლის ასაკიდან. დავდიოდი მაია ჯავახიშვილის სტუდიაში 7 წელი, სანამ სტუდია არ დაიხურა. შემდეგ მან თბილისში გახსნა სტუდია და სამწლიანი პაუზის შემდეგ, როდესაც სტუდენტი გავხდი და თბილისში გადავედი პირველივე დღეს მივედი მასთან. ამის პარალელურად დავდიოდი ჩემი უნივერსისტეტის ცეკვების ჯგუფში, სადაც ჰქონდათ გახსნილი ლათინო ამერიკული ცეკვების წრე. ამ პერიოდში დაინტერესებული ვიყავი ჰიპ-ჰოპით. ამ ინტერესის გამო დავდიოდი რამდენიმე სხვადასხვა ქორეოგრაფთანაც .სამწუხაროდ საქართველოში სამეჯლისო ცეკვების სახელმწიფო სასწავლებელი არ არსებობს, სადაც სიამოვნებით შემეძლო სწავლა.

შემდეგ იყო იძულებითი „ტაიმაუტი“ ჩემს სწავლასთან დაკავშირებით. ფინანსური პრობლემების გამო აკადემიური ავიღე და სწორედ ამ პერიოდში დამებადა იდეა – მეცადა ქორეოგრაფობა. ერთი პერიოდი თბილისში მომიწია ბავშვებთან მუშაობა, როდესაც ჩემი ქორეოგრაფი დეკრეტულ შვებულებაში გავიდა. ბავშვებს ვამეცადინებდი და ძალიან მომწონდა ეს პროცესი. მათაც ძალიან მოვწონდი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ თუ უცხო ენების სპეციალისტი ვერ გამოვიდოდი, ქორეოგრაფიაში აუცილებლად ვცდიდი ძალებს.მითუმეტეს, რომ ფანტაზია არასდროს მაკლდა ფინანსებისგან განსხვავებით. ასე მოვხვდი საბოლოოდ ცეკვის ჯადოსნურ სამყაროში.

**– რა შეგიძლია გვითხრა შენს დღევანდელ საქმიანობაზე?**

– ჩემი დღევანდელი საქმიანობა ჩემთვის არის ის, რაც მწყურვალისათვის სასმელი წყალია ზაფხულში. როდესაც არდადეგები იწყება, ჩემი აუტანელი ყოფაც იწყება. მენატრება ჩემი საქმე და ჩემი ბავშვები. სექტემბერს ვერ ვუცდი ხოლმე. ბავშვებს ვეხმიანები და აგვისტოს შუა რიცხვებიდან ხშირად დაგვიწყია ვარჯიში. მათაც ისე ენატრებათ ჩემი გაკვეთილები, რომ აუტანელი სიცხეებიც ვერ გვაშინებს..

**– რა გამოწვევები გხვდება?**

– გამოწვევები ძირითადად არის მენტალური. მაგალითად, უამრავი ბავშვი მხვდება ქუჩაში, მიღიმიან, მესალმებიან. ვჩერდები და ვეკითხები – ბოდიში სიხარულო მე გიცნობ და არ მახსოვხარ თქო? ისინი მეუბნებიან, რომ არ ვინცობ თუმცა, მათ უნდათ ჩემთან სიარული, მაგრამ დედიკოს, მამიკოს ან პაპა – ბებიას არ მოსწონთ ეს ცეკვები და სურვილის მიუხედავად არ მატარებენო თქვენთან. ამ დროს ბავშვები დაყავთ სხვა წრეებზე, რაც საერთოდ არ აინტერესებთ მათ.

ბევრი გამოწვევა უკავშირდება ფინანსურ მხარეს. საკმაოდ უჭირს მოსახლეობას და ამიტომ საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდებიან ამ გამოწვევებს. იძულებულები ვართ უარი ვთქვათ ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობაზე, საიდანაც უამრავი მოწვევა და შემოთავაზება გვაქვს. თუ სადმე მონაწილეობას ვიღებთ, მხოლოდ საკუთარი ხარჯებით, რაც ადვილი საქმე არაა.

თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო ორი წელია ყველა ფესტივალს გულ აცრუებული ვუყურებ. ზოგადად ბავშვებს აღარ აქვთ სურვილი ფესტივალებში მონაწილეობის, როცა ხედავენ, რომ იქ არანაირი კონკურენცია არაა და ყველაფერს ფული განაპირობებს. უკვე გადაწყვეტილი გვაქვს, რომ მხოლოდ კონკურენტულ და ჩვენ სტილში მოასპარეზე მოცეკვავეებთან მივიღებთ კონკურსებში მონაწილეობას.

... ერთ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ ხშირად არ აქვთ ბავშვებს ახალი ფორმების შესაკერი თანხა, გვიწევს ძველი ფორმების მოძიება და მისი გადაკეთება, რომელსაც ხან ვშოულობთ ხან ვერა ...

**– თათია, ყველამ ვიცით, რომ ამ პრობლემის დაძლევაში შენი დედა ქეთინო ჩიხიაშვილი გეხმარება. კიდევ ვინ გიდგას გვერდში?**

– თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რასაც მივაღწიე მხოლოდ ჩემით და დედას დახმარებით. ვიზუალურ მხარეს, რაც ერთ ერთი უმთავრესია, ყოველთვის ვცდილობთ, რაც შეიძლება ეკონომიურად და ძალიან ლამაზად ჩავაცვათ ჩემ მოცეკვავეებს. ეს ყველაფერი ძირითადად დედაჩემის მხრებზე გადადის. ის გვიკერს უმაღლეს დონეზე ძალიან რთულ მოდელებს საკმაოდ იაფად. ეს დიდი შეღავათია ჩვენთვის, რადგან საერთოდ ძალიან ძვირი ჯდება სხვაგან ფორმების შეკერვა.

დახმარებით სხვა არავინ არ მეხმარება, არც არასდროს დამხმარებია პირიქით უფრო ხდება. საკმაოდ პატარა ვიყავი 19 წლის როდესაც ამ საქმეს შევეჭიდე, ბევრი წინააღმდეგობა და სირთულე მხვდებოდა. პირველ რიგში ის,

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

# ეპიდემიოლოგიური სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება და კეთილსაიმედოა

*სინოპტიკოსების პროგნოზით გასული წლის ზაფხულთან შედარებით წელს ტემპერატურა ერთი გრადუსით მაღალი იქნება. პროგნოზმა გაამართლა და ასეთი ცხელი ზაფხული დიდი ხანია არ გვინახავს.*

*მაღალი ტემპერატურის გამო იაპონიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში არის სიკვდილიანობის ფაქტები, გერმანიაში და საფრანგეთში ატომური ელექტროსადგურები გააჩერეს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში სარკინიგზო მოძრაობები შეწყდა.*

*მაღალი ტემპერატურის დროს იზრდება საფრთხე ინფექციური დაავადებების გავრცელების, რომელთა გადატანაც ხდება წყლით, ასევე დაბინძურებული საკვებით, მწერებით, ტკიპებით და კოღოებით.*

*ჩვენს მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გასარკვევად ყვარლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსს მერაბ სეფაშვილს ვთხოვეთ კითხვებზე გაეცა პასუხები.*

**– ბატონო მერაბ, უკანასკნელ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით ყვარელში მნიშვნელოვნად გაიზარდა მაწანწალა ძაღლების რაოდენობა, თუ არის დაკბენების ანდა ცოფის გამოვლენის ფაქტები?**

– ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში შემოსულია სულ 91 სასწრაფო შეტყობინების ბარათი, ფორმა № 58/1. აქედან ცხოველის მიერ დაკბენის 63 შემთხვევაა. მათ შორის 1-15 წლამდე ასაკის 28 ბავშვია. თვითეულ მათგანს დაკბენის ხარისხისდა მიხედვით დაენიშნა აცრების კურსი – არასრული და სრული კურსი. ცხოველზე შემდგომი დაკვირვების მიზნით დაკბენის თვითეული შემთხვევის შესახებ შეტყობინება გადაიგზავნა ვეტსამსახურში. აღსანიშნავია, რომ ცოფის არც ერთი შემთხვევა ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა. ანტირაბიული კაბინეტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან უწყვეტად მარაგდება ანტირაბიული ვაქცინით და იმუნოგლობულინით.

ხორციელდება ანტირაბიული კაბინეტის ყოველთვიური მონიტორინგი.

**– ტუბერკულოზის გამოვლენის ფაქტები თუ არის ჩვენს მუნიციპალიტეტში?**

– მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემოვიდა 6 სასწრაფო შეტყობინების ბარათი ტუბერკულოზით ავადობაზე. შევისწავლეთ თვითეულის კონტაქტები. ბავშვები, რომლებიც კონტაქტში იყვნენ ავადმყოფ ოჯახის წევრებთან, გამოსაკვლევად გადავგზავნეთ გურჯაანის ტუბერკულოზის ცენტრში, სადაც ექიმი პედიატრი იკვლევს კახეთის რეგიონში ტუბერკულოზზე ყველა საეჭვო ბავშვს. გამოკვლეულებიდან ერთ კონტაქტში მყოფ ბავშვს დაენიშნა ქიმიოპროფილაქტიკა. დანარჩენი უფროსი ასაკის კონტაქტში მყოფებს იკვლევენ ყვარლის „ევექსის“ კლინიკაში. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან ერთი პაციენტი არის ექვსი თვის ფეხმძიმე, რომელიც მკურნალობისთვის გაიგზავნა თბილისის ტუბცენტრში. პაციენტი ყვარელში ცხოვრობს ყოფილი რუსული სკოლის შენობაში.

**– თუ არის ბრუცელოზით დაავადების ფაქტები?**

– საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ბრუცელოზის ერთი შემთხვევა, რომლის შესახებ შეტყობინება შემოვიდა პარაზიტოლოგიის სასწავლო კვლევითი ინსტიტუტიდან. პაციენტი არის 63 წლის, სოფელ ალმატიდან. თვითონ, მფლობელობაში არ ჰყავდა საქონელი, მაგრამ ყიდულობდა სხვადასხვა პიროვნებებიდან რძეს, აკეთებდა ყველს და ჰყიდდა.

აღსანიშნავია, რომ ბრუცელოზით დაავადების შემთხვევაში პაციენტები დიაგნოზის დადგენის გარეშე იწყებენ თვითმკურნალობას და საკმაოდ დაგვიანებით ხვდებიან საჭირო პროფილის ექიმთან. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაშიც სიმპტომები დაეწყო 10 თებერვალს და პაციენტი ექიმთან მივიდა 12 აპრილს.

**– როგორი მდგომარეობაა ინფექციური დაავადებების გავრცელების მხრივ?**

– გვქონდა ჩუტყვავილას ორი შემთხვევა და ლეიშმანიოზის ერთი შემთხვევა. ლეიშმანიოზით დაავადდა 13 წლის გოგონა ენისლიდან, რომელსაც დიაგნოზი დაესვა იაშვლის სახელობის კლინიკაში. შეტყობინება შემოვიდა 27 მაისს, პაციენტი ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

საბუეში მცხოვრებ ერთ პაციენტს თელავის რეფერალურ საავადმყოფოში დაესვა ცხელების დიაგნოზი და შემდგომი გამოკვლევებისათვის ერთი თვის წინ გადაიგზავნა თბილისში, ინფექციური პათოლოგიის ცენტრში. პაციენტი არის ასაკოვანი – 80 წლის. ნლებია მოავადეა, ხშირად წევს სხვადასხვა კლინიკებში, მაგრამ სწორი დიაგნოზი ვერ დაესვა. ამჟამად ინფექციური პათოლოგიის ცენტრიდან დადასტურებული დიაგნოზი ჯერ არ მოსულა.

**– კიდევ თუ არის პარაზიტებით და მალარიით დაავადების შემთხვევები?**

– ცენტრის პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიაში გაკეთდა სულ 38 ანალიზი ჭიის კვერცხებზე. დადებითი პასუხი აღმოაჩნდა 19 პაციენტს. ყველას, ვისაც აღმოაჩნდა ჭიის კვერცხები, ჩაუტარდათ მკურნალობა უფასოდ, მედიკამენტ „ვერმოქსით“, რომელიც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან ჰუმანიტარული დახმარების გზით არის მიღებული. 30 სიცხიან ავადმყოფს გაუკეთდა ანალიზი მალარიაზე, რომელიც გადამოწმდა ლუგარის ლაბორატორიაში. ყველა ანალიზის პასუხი უარყოფითია.

**– მონიტორინგს თუ ახორციელებთ სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაზე?**

– საანგარიშო პერიოდში გეგმის მიხედვით მონიტორინგი ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საექიმო ამბულატორიებს,შემოწმებულ იქნა გეგმიური იმუნიზაციის მიმდინარეობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო ორგანიზაციებიდან შემოსული სტატისტიკური ანგარიშები ყოველი თვის ბოლოს მუშავდება და ნაერთი ფორმის სახით იგზავნება დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში და თელავის რეგონალურ ცენტრში.

**– უსაშველო სიცხის გამოა, რომ მოიმატა კოღოების რაოდენობამ და რა ღონისძიებებს ატარებთ მათ გასანადგურებლად?**

– კოღოების მოსასპობად მეორე კვარტლის განმავლობაში დამუშავდა 40 ჰექტარი ფართობი, რაზეც გახარჯა 20 კილოგრამი „სოლფაკი“.

**– ასაცრელი მასალით მომარაგებაში ხომ არ არის შეფერხებები?**

– ამბულატორიების საჭიროების და მოთხოვნის შესაბამისად დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან შემოგვაქვს გეგმიური ასაცრელი მასალა, რომლითაც მარაგდება ყველა ამცრელი კაბინეტი. ყოველთვიურად ტარდება მონიტორინგი სამი სოფლის ამცრელ კაბინეტში.

ასევე სისტემატურად ტარდება მონიტორინგი „ც“ ჰეპატიტზე, დაავადებული პიროვნებების მკურნალობაში ჩართვის მიზნით.

2019 წლის ორ კვარტალში ყვარლის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება და კეთილსაიმედოა.

**– როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ზაფხულის ცხელი დღეები ყოველგვარი გართულებების გარეშე გავაცილოთ?**

– მაღალი ტემპერატურის პირობებში მოწყვლადი არიან მოხუცები, ბავშვები და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები (იგულისხმება ფილტვის ქრონიკული დაავადებები, დიაბეტი და ა.შ, ამ ადამიანებმა განსაკუთრებით და საერთოდ ყველამ უნდა დაიცვას ელემენტარული წესები:

1. უნდა ვეცადოთ დიდი დრო არ გავატაროთ მზეზე;

2. შენობებში, სადაც ადამიანებს უხდებათ ყოფნა, უნდა შევქმნათ კომფორტული გარემო, რაც ტემპერატურის 22 გრადუსიდან 28 გრადუსამდე შენარჩუნებას გულისხმობს;

3. უნდა მოვერიდოთ ისეთი სასმელების და საკვების მიღებას, რომელიც შეიძლება იყოს სარისკო;

4. რეკომენდებულია,რომ აქტიური ფიზიკური მოქმედებები, რაც დაკავშირებლია ფიზიკურ შრომასთან, მზის ამოსვლამდე ან საღამოს საათებში განხორციელდეს;

5. ასეთი მაღალი ტემპერატურის დროს უნდა მივიღოთ, რაც შეიძლება მეტი სითხე, ორი ლიტრი მაინც დღის განმავლობაში.

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ტურნირები წარმატებით დასრულდა

9 ივნისს ყვარლის სარაგბო კლუბმა „ბუღებმა“ ითამაშა ქ. თბილისის „შევარდენის“ რაგბის სანაკრებო ბაზაზე ბოლო ტურნირი და ამით დაასრულა წლევანდელი გაზაფხულის ტურნირები.

გუნდი აღნიშნულ ტურნირზე გამოვიდა ორ ასაკობრივ 8 და 10 წლიან გუნდებში.

პირველები თამაშში ჩაებნენ 10 წლიანები. მათი პირველი მეტოქე იყო თბილისის „მერანი“, თბილისელების 4 ლელოს ყვარლელებმა უპასუხეს 7-ით და თამაში მოიგეს 35:20;

მეორე თამაში ჩავატარეთ გორის „ჯიქთან“. ამ თამაშშიც ყვარლელების უპირატესობა ნათელი იყო და თამაში დამთავრდა მათი გამარჯვებით 30:15. მესამე ბოლო შეხვედრა ბიჭებმა ჩაატარეს კაზრეთის „ყოჩებთან“ და მოიგეს თამაში 40:15;

რაც შეეხება 8 წლიანებს, მათ პირველი შეხვედრა ჰქონდათ თბილისის „ქორებთან“. „ბუღებმა“ მოიგეს ანგარიშით 35:15; მეორე შეხვედრა ჰქონდათ თბილისის „ჩოხოსნებთან“. ანგარიში აქაც ყვარლელთა სასარგებლოდ იყო 40:10; ამის შემდეგ გაჩნდა ამბიცია ბოლო მე-6 შეხვედრაც რომ მოგვეგო თბილისის „მართველთან“, მაგრამ ეს იყო შეხვედრა, რომლის პირველი ნახევარი ბიჭებმა 15:0 მოიგეს, აი მეორე ნახევარში კი ყვარლელთა ხუთმა მოთამაშემ ტრავმებით დატოვა თამაში, დავრჩით ახალბედების იმედზე, რომელნიც ვერ ჩაერთვნენ თამაშში ვერანაირად. ფაქტიურად თამაშობდა 4 მოთამაშე, მაგრამ ამით ჩვენ მეტოქეს არ ვაკნინებთ. მეორე ნახევარი და თამაშიც მოიგეს თბილისელებმა 25:15.

გუნდი გამოდიოდა გადახალისებული შემადგენლობით ორივე ასაკში. გვყავს ახალი, ძლიერი პერსპექტიული მოთამაშეები. დიდი ხნის მოთამაშეებს მხარს უბამენ ყვარლელები: რეზი ქურდაძე, საბა ბურკიაშვილი, ძმები მელქაძეები, ბალღოჯიანელები: გიო მაისურაძე, ირაკლი კეკენაძე, მარაქველიძე, მიხელიძე და სხვები. ამ ბიჭებმა მათთან ერთად ითამაშეს გაზაფხულის ტურნირებში და ემზადებიან შემოდგომის ტურნირებისათვის. მათთან ერთად ამ ტურნირებში წვლილი შეიტანეს გავაზის, ენისლის, შილდის მორაგბეებმა.

დასასრულს გვინდა მთლიანი გაზაფხულის ტურნირების სტატისტიკა გაგაცნოთ. 8 და 10 წლიანებს შორის ჩვენმა გუნდებმა 36 მატჩი ითამაშეს, აქედან წააგეს 6 თამაში, ფრედ დამთავრდა 3 შეხვედრა და მოიგეს 27 შეხვედრა. გარდა ამისა გვქონდა 2 ამხანაგური შეხვედრა, რომლებიც იოლად მოიგეს „ბუღებმა“.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოთამაშეთა ნაკლებობას არ განვიცდით, მაინც მივმართავთ მშობლებს, მოიყვანონ ბავშვები ჩვენთან, რომელთაც წესების შესწავლის და ფიზიკური მომზადების შემდეგ ჩავრთავთ სხვადასხვა ტურნირებში და თამაშებში.

**გიორგი მამულაშვილი,**
**გუნდის მწვრთნელი**

# ხრიკები, რომლებიც დასუფთავებაში დაგეხმარებათ – დიასახლისებო, გაითვალისწინეთ

ბევრი თქვენგანისთვის, დასუფთავება, მტკივნეული თემაა, რადგან ის ძალებთან, დროსთან და ფუჭე იმედებთანაა დაკავშირებული. თუმცა, არსებობს გზები, რომელთა გათვალისწინება გაამარტივებს და დაასწრაფებს წმენდის პროცესს. ამიტომ, იმისათვის, რომ თქვენი ცხოვრება უფრო სუფთა და მარტივი გახდეს, ჩემს მიერ წარმოდგენილი რამდენიმე ხრიკი, დაგეხმარებათ, გაუმკლავდეთ საოჯახო თუ ცხოვრებისეულ ყოფით პირობებს.

გთავაზობთ მარტივ და ხელმისაწვდომ ხრიკებს, რომლებიც დაგეხმარებათ სისუფთავეში.

1. როგორ გავწმინდოთ ავტომობილის სავარძელი?

თუ თქვენი ავტომობილის სავარძლები დასვრილია, ქიმწმენდის ფული კი არ გაქვთ, რაგდან ის გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება, შემოგთავაზებთ მარტივ პროცედურას, რომელიც სავარძლებს წარმოუდგენელ სისუფთავეს დაუბრუნებს.

ამისათვის დაგჭირდებათ:

- თხევადი საპონი.
- ძმარი.
- გაზიანი მინერალი.

ეს ბუნებრივი, მეტად იაფი და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ინგრედიენტები იდეალურად გაწმენდს თქვენი ავტომობილის სავარძლებს (და არა მარტო ავტომობილის). 1 ჭიქა თხევადი საპონი, 1 ს.კ. ძმარი და გაზიანი მინერალი ჩაასხით ბოთლში, შეურიეთ ერთმანეთს მძლავრად შენჯღრევით, მიასხურეთ დალაქულ ადგილებს და დააყოვნეთ 7-10 წუთით, შემდეგ კი მშრალი ღრუბლით ან ფუნჯით გაასუფთავეთ წრიული მოძრაობით. გაგიკვირდებათ როგორ ადვილად გაშორდება ლაქები თქვენ სავარძლებს.

თუ ლაქა ღრმად არის ჩამჯდარი და ერთი ცდით არ ამოშორდა სავარძლიდან, მოსინჯეთ მშრალის ნაცვლად თბილ წყალში ჩასველებული ღრუბლით და პროცედურა გაიმეორეთ ორჯერ.

2. როგორ გავათეთროთ ბოსტნეულის საჭრელი დაფა?

დალაქული დაფები ადვილად გათეთრდება, თუ ცხელ წყალში ჩაალბობთ და მარილით გაწმენდთ. გამოიყენეთ ჭურჭლის, უხეში ღრუბელი ან ჯაგრისი. ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ მათეთრებელი საშუალებები.

3. როგორ გავწმინდოთ დალაქული ხალიჩა?

კარგად დაასველეთ ხალიჩაზე ლაქების ადგილი, დააყარეთ საცხობი (საკვები) სოდა და დააყოვნეთ 10 წუთით, შემდეგ კი მტვერსასრუტით ამოწმინდეთ. 1 სუფრის კოვზი ჭურჭლის სარეცხი საშუალება და 1 სუფრის კოვზი თეთრი ძმარი გააზავეთ 2 ჭიქა, თბილ წყალთან და უხეში ჯაგრისით გახეხეთ ამ საშუალებით. კარგად გააშრეთ. შედეგი ნამდვილად გაგაოცებთ.

4. როგორ გავწმინდოთ ქრომირებული ზედაპირის მქონე ონკანები?

იმისათვის, რომ ქრომირებულ ზედაპირიანი ონკანები (და სხვა) ბრწყინავდეს დიდხანს და დასუფთავების მოსაბეზრებელმა პროცედურებმა დრო არ წაგართვათ, ის უბრალოდ გაწმინდეთ ცვილის ქაღალდით (საცხობი – პერმარგანატი). შედეგი წარმოუდგენელია.

5. როგორ გავათეთროთ გაყვითლებული ნიჟარა?

ალბათ, ბევრს გაქვთ ოჯახში ძველებური, ემალის ან თუჯის მასალის ნიჟარა, რომელიც გამუდმებით წმენდას საჭიროებს ქიმიური საშუალებებით, რადგან ადვილად ყვითლდება მათი ზედაპირი. გთავაზობთ მარტივ ხრიკს, როგრ გავათეთროთ ის ადვილად.

2 სუფრის კოვზი კირი და 2 სუფრის კოვზი სოდა შეურიეთ ერთმანეთს და ამ ნარევის ნესტიანი მასით დაფარეთ გაყვითლებული ადგილი. გააჩერეთ, 10 წუთის შემდეგ კი დაასხით 50 გრ მათეთრებელი და 50 გრ თეთრი ძმარი. ნახევარი საათის შემდეგ მოხეხეთ და კარგად გარეცხეთ თბილი წყლით. ნიჟარა იბრწყინებს.

6. როგორ გავწმინდოთ ნაჭრის დივანი?

ალბათ, ბევრ თქვენგანს აქვს ნაჭრის, ღია ფერის დივანი სახლში, რომელიც, დამეთანხმებით რთული მოსავლელია. ლაქები კვლავ არის და ვერაფერი მოუხერხეთ? სწორედ ეს საშუალება, რომელსაც შემოგთავაზებთ, ძალიან დაგეხმარებათ.

1 სუფრის კოვზი სოდა, 1/3 ჭიქა თეთრი ძმარი და 1 სუფრის კოვზი სარეცხის ფხვნილი ჩაყარეთ ცხელ (მდუღარე არა) წყალში (დაახლოებით 1 ჭიქა). ამ ნარევით გარეცხეთ დალაქული ადგილები, გამოიყენეთ ჯაგრისი. გაწმენდის შემდეგ კი კარგად გაამშრალეთ და ზედაპირზე მოაყარეთ სოდა, გააჩერეთ 1-2 საათი და შემდეგ მტვერსასრუტით ამოწმინდეთ.

7. როგორ გავათეთროთ მეტალო პლასტმასის ფანჯრები?

განსაკუთრებით ზამთრში, როდესაც გარეთ ცუდი ამინდია, ქარია, წვიმაც ხშირად მოდის, მეტად ისვრება თქვენი მეტალო პლასტმასის ფანჯრები, სუსხიან ამინდებში ე.წ „უბორკა“ წარმოუდგენელია, გაზაფხულზე კი დალაქული ჩარჩოს ადვილად გათეთრება ვერ ხერხდება. სწორედ ამიტომ გასწავლით მარტივ ხრიკს, რის შემდეგაც თქვენი ფანჯრები ახალივით იბრწყინებს.

დაყარეთ ჩარჩოსა და შავ ადგილებზე სოდა, წინასწარ კი, იქონიეთ გაზავებული წყალი და ძმარი 1:1 კომბინაციით, რომელსაც ფანჯარაზე მოასხამთ სოდის ზევიდან. გააჩერეთ 15-20 წუთი და კბილის, ძველი ჯაგრისით გახეხეთ. გაწმინდეთ სველი ჩვრით, შემდეგ კი მოამშრალეთ. შედეგი მართლა წარმოუდგენელია.

intermedia.ge

# ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990134853934319

№ 644 25 / ივლისი / 2019 წ.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ**

"მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების; საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს გივი ზაუტაშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 7 თებერვლის #107 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24).

ხელმოწერილია/ შესრულებულია

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის გივი ზაუტაშვილი

| ლოტის № | ქონების დასახელება და მისამართი | არასასოფლო-სამეურნეო დან. მიწის ფართობი (კვ.მ.) | შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე“ (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილ. ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ს. შოროხი (სარუსო) | 708 (სასოფლო-სამეურ. დანიშ.მიწა) | - | 57.02.54.270 | 1416 | 283 | 71 | 50 |
| 1 | ქ. ყვარელი, ყოფ. სარიტუალო მომსახ. ბიურო | 2034 | 47 | 57.06.57.005 | 27698 | 5540 | 1385 | 50 |

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563394; 300563313

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მონმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2019 წლის 29 აგვისტოს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2019 წლის 31 ივლისიდან 29 აგვისტოს ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი № 599 855 993 ; №595 903 322; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

# ახლავე ჩაიხედეთ საფულეში, მიმოიხედეთ სახლში და თუ იპოვით, სასწრაფოდ გადააგდეთ

ადამიანები ჩვენდა უნებურად ვაგროვებთ სახლში ისეთ ნივთებს, რომელიც აბსოლუტურად არაფერში გვჭირდება, მხოლოდ აურას გვიბინძურებს, გირჩევთ მსგავსი ნივთები სასწრაფოდ მოიშოროთ თავიდან .

**1. ძველი კალენდარი**

ბევრ ადამიანს უბრალოდ ავიწყდება ძველი კალენდრის გადაგდება, ასე შეიძლება დაგრჩეთ სახლში 1 ან 2, თუ მეტი არა, წლის წინანდელი. სასწრაფოდ მოიშორეთ თავიდან ძველი, გამოუსადეგარი კალენდარი.

**2. მაღაზიის ჩეკები**

ყოველი ჩვენგანი ყოველდღიურად იღებს უამრავ ჩეკს. ახლავე ჩაიხედეთ საფულეში, მიმოიხედეთ სახლში და თუ იპოვით სასწრაფოდ გადააგდეთ. ის არაფერში გჭირდებათ.

**3. ძველი ლოგინის თეთრეული**

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ასეთი ნივთები დეფიციტად
ითვლებოდა და კარგ დიასახლისს



აუცილებლად უნდა მოემარაგებინა ქალიშვილსა თუ შვილიშვილისათვის.

**4. ინსტრუქციები და ტექნიკური პასპორტები**

ყველა წვრილ ტექნიკას, რასაც ვყიდულობთ, უამრავი პასპორტი და ინსტრუქცია მოჰყვება. აბა, გამოუტყდით საკუთარ თავს, რამდენად ხშირად იხედებით ინსტრუქციაში ან რამდენი ასეთი საბუთი გაქვთ სახლში, რომელი ნივთიც უკვე კარგა ხანია აღარ არსებობს. მოაშორეთ ისინი.

**5. ფეხსაცმელები**

ფეხსაცმელებთან დაკავშირებითაც საკმაოდ მძიმე სიტუაცია გვაქვს ხოლმე, მუდმივად გვენანება კარგად გაცვეთილი ძველი ფეხსაცმელების გადაყრა. თუ ფეხსაცმელი ერთი წელი მაინც არ გვიხმარია, ის თავისუფლად უნდა გადავყაროთ.

**6. კენტად დარჩენილი წინდა**

ხშირად გეკარგებათ ცალი წინდა? ნუ იდარდებთ, ეს ყველას ემართება. ალბათ აკურატულად ინახავთ ცალ-ცალ წინდას, თუმცა გირცევთ დროულად მოიშოროთ თავიდან.

**7. ხელსაქმის მასალა**

ბევრ ქალბატონს აქვს პერიდულად გატაცება, დაკავდეს რაიმე ხელსქმით და საამისოდ გამოძებნის ხოლმე ნაჭრებს თუ სხვა აქსესუარებს. თუ ხვდებით, რომ ეს გატაცება არ არის სერიოზული და ტყუილად აგროვებთ ნივთებს, გირჩევთ დროულად შეელიოთ მათ და გაათავსუფლოთ ადგილი თქვენს ბინაში.

**8. საჭმლის კონტეინერები**

ბევრს ჰგონია, რომ პლასტმასის კონტენერი, ფაიფურის ჭურჭელივით, გატეხვამდე და გაბზარვამდე სამუდამო მოხმარების საგანია, თუმცა ასე არ არის. პლასტმასი დროთა განმავლობაში ინოვს საჭმლის სუნს და დროთა განმავლობაში ის მოხმარებისთვის გამოუსადეგარი ხდება. ის აუცილებლად უნდა გადაგდოთ და შეცვალოთ ახლით.

**9. ძველი დამტენები**

დამეთანახმეთ, რომ არ ღირს ისეთი დამტენების შენახვა, რომელიც გაწყვეტილია ან უბრალოდ მისი შესაბამისი გაჯეტი ან ტელეფონი უბრალოდ აღარ არსებობს.

**10. გამოუყენებლი ნივთები**

აივნის კარადა და სარდაფი ის ადგილია, სადაც ადამიანები ხშირად ინახავენ გატეხილ, ძველ, დაჟანგულ ნივთებს, ერთი სიტყვით იმას, რაც რეალურად კარგა ხანია აღარ ვარგა და არაფერში გჭირდებათ. დროულად გადაყარეთ ისინი.

**11. საცვლები**

გამოაღეთ ის უჯრა, სადაც ინახება თქვენი თეთრეული, აბა, კარგად გადაარჩიეთ, რამდენი ისეთი ნივთი გაქვთ უჯრაში, რომელიც წლებია არ გამოგიყენებიათ, ან დაგიპატარავდათ, ან უბრალოდ აღარ ვარგა. სასწრაფოდ გადაყარეთ.

**12. ძველი გაზეთები და ჟურნალები**

ევროპაში გაზეთი და ჟურნალი ერთჯერადი მოხმარების საგანია – წაიკითხე – გადააგდე. არ არის აუცილებელი მათი შენახვა, ის უბრალოდ მტვრის ბუდეა.

**13. აქსესუარები**

ასევე გირჩევთ მოიშოროთ თავიდან ძველი, არცთუ ხარისხიანი, დაჟანგებული ბიჟუტერია, ის უბრალოდ თქვენ თავისუფალ ადგილს იკავებს.

shin. ge

# გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

## ტრისტან ჩახნაშვილი



დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი მეგობარი, იშვიათი ადამიანური თვისებებით, სიკეთით, კეთილგონიერებითა და გასაოცარი თანადგომის უნარით შემკული, ღირსეული ყვარლელი კაცი, ტრისტან ჩახნაშვილი განერიდა ამ წუთისოფელს.

ვიხსენებთ ამ შესანიშნავ პიროვნებას და სინანულის გრძნობა გვეუფლება, მის შესახებ წარსულ დროში რომ გვიწევს საუბარი. არადა, სწორედ ასეთი ზნეკეთილი და მშრომელი ადამიანები ალამაზებდნენ ჩვენს ცხოვრებას. მან ზედმიწევნით კარგად იცოდა მეგობრობის ფასი, ყველასთან ინარჩუნებდა კეთილგანწყობილ ურთიერთობას, გულწრფელად იზიარებდა მოყვასის სატკივარს, იყო უანგარო თანამდგომი ჭირსა თუ ლხინში.

ცხოვრებაში რთული, მაგრამ საინტერესო გზა განვლო. არასოდეს დაუხევია უკან სიძნელეების წინაშე. შეუპოვრობისა და იშვიათი შრომისმოყვარეობის წყალობით ნებისმიერი ბარიერის გადალახვის უნარი გააჩნდა, რათა დასახული მიზნისათვის მიეღწია. საქმისა მთელი ცხოვრების განმავლობაში, ახლო მეგობრობა აკავშირებდა.

სამოციანი წლების დასაწყისიდან ტრისტან ჩახნაშვილი მუშაობას იწყებს სპეციალობის მიხედვით – ყვარლის „დურუჯის“ კოლმეურნეობაში ზოოტექნიკოსად, ხოლო შემდეგ, ყვარლის საინკუბატორო სადგურის დაარსების დღიდან – 1967 წლიდან, იგი ამ საწარმოს დირექტორია. აქ იგი ჩამოყალიბდა როგორც მეფრინველეობის დარგის უაღრესად კვალიფიციური და წარმატებული სპეციალისტი, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ყვარლის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას. სწორედ ამის გათვალისწინებით, 1982 წელს იგი გადაყავთ ენისლის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად და ხანგრძლივი დროის მანძილზე დიდი წარმატებით უძღვებოდა ამ გიგანტი საწარმოს საქმიანობას. იგი ამ თანამდებობაზე რჩება 90-იანი წლების დასაწყისამდე, მეფრინველეობის ფაბრიკის ლიკვიდაციამდე, რაც მაშინდელი წლების ნეგატიური პროცესების პირდაპირი შედეგი გახლდათ. ამის შემდეგ იგი კვლავ ყვარლის საინკუბატორო სადგურში ბრუნდება და აქ მოღვაწეობს სიცოცხლის ბოლომდე.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ტრისტან ჩახნაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა, ინიციატივიანმა და კვალიფიციურმა ორგანიზატორმა. სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში და მთელი საზოგადოების მასშტაბით. იყო ყურადღებიანი და გულისხმიერი თანამშრომელთა მიმართ.

ასეთი გახლდათ ეს დალოცვილი ადამიანი – კარგი ოჯახიშვილი, წესიერი, დიდი ბუნებისა და სიკეთის განსახიერება. ცხოვრობდა კაცურად და სითბოს თესავდა თავის გარშემო. სწორედ ამით დაგვამახსოვრა თავი; – მეგობრებთან ურთიერთობაში ყოველთვის ამჟღავნებდა დიდ სითბოს, სიყვარულსა და პატივისცემას. სხვათა შორის, არ უყვარდა თავისი დაბადების დღის ცალკე აღნიშვნა და ბოლო დროს წესად ჰქონდა, რომ საკუთარი და ერთადერთი პირმშოს, თედოს, დაბადების დღეები ერთად აღენიშნათ ხოლმე, რადგან ორივენი ივლისის თვეში იყვნენ დაბადებულები – თვითონ 18 ივლისს, ხოლო შვილი 24 ივლისს. ამაშიც უეჭველად იყო ჩაქსოვილი რაღაც ქვეცნობიერი, უჩვეულო და საკრალური.

მისი აღსასრული კი, უნდა ითქვას, რომ მოულოდნელი გახლდათ. ასაკში

## ცხოვროგდა კაცურად და სითბოს თესავდა თავის გარშემო

და დაკისრებული მოვალეობებისათვის არასოდეს უღალატია, ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა საზოგადოებას, ხალხს, ქვეყანას.

მასზე ძალიან ბევრი გვაქვს მოსაგონარი, ბევრი კარგის თქმა და გახსენება შეგვიძლია. მაგრამ ყველაფერი რომ მარტივად და ლაკონურად გამოვხატოთ, იგი იყო ძალზე კარგი ადამიანი და ამით ყველაფერია ნათქვამი. კარგ ადამიანებთან მეგობრობა კი უფლის წყალობაა და მით უფრო დასანანია, რომ ასეთი პიროვნება აღარ არის ჩვენს შორის.

დაიბადა 1934 წლის 18 ივლისს ყვარელში. აქვე დაამთავრა მაშინდელი ვაჟთა საშუალო სკოლის თერთმეტი კლასი. საშუალო განათლების მიღების შემდეგ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. პარალელურად 1957 წლიდან, უფროსი ძმის ზაურ ჩახნაშვილის ხელშეწყობითა და თანადგომით, მუშაობას იწყებს რაიონული გაზეთის რედაქციაში ლიტმუშაკად, რომლის რედაქტორთან დავით ლაფაჩიშვილთან შემდგომში, თვეში იყვნენ დაბადებულები – თვითონ 18 ივლისს, ხოლო შვილი 24 ივლისს. ამაშიც უეჭველად იყო ჩაქსოვილი რაღაც ქვეცნობიერი, უჩვეულო და საკრალური.

მისი აღსასრული კი, უნდა ითქვას, რომ მოულოდნელი გახლდათ. ასაკში შესულს ფეხზე იარა გაურთულდა და განგრენა განუვითარდა. ოპერაცია გაუკეთეს და ფეხის ამპუტაცია გახდა საჭირო. საშველი მაინც არ დაადგა... მისმა ერთადერთმა სათაყვანებელმა შვილმა, თედომ, თავდაუზოგავად იბრძოლა მამის სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ ყველა მცდელობა ამაო გამოდგა... ტრისტან ჩახნაშვილმა იმქვეყნიურ სამყაროში გადაინაცვლა. იდგა 2014 წელი...

უზომოდ სამწუხარო და გულდასაწყვეტია, რომ ტრისტან ჩახნაშვილის სახით ძალზე ძვირფასი და გულითადი მეგობარი გამოგვაკლდა. იგი ძალიან, ძალიან დაგვაკლდა ყველას!

უფალს შევთხოვთ, რომ ჩვენს ყვარელს უმრავლოს მისი სადარი ღირსეული მამულიშვილები, დავიწყებას არ მივცემთ მის სახელს და ყოველთვის თბილად გავიხსენებთ, რამეთუ ასეთი ადამიანების დავიწყება შეუძლებელია!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და სიმშვიდე ნუ მოაკლოს მის სამარადისო განსასვენებელს...

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

## ქალბატონ ნაზი ყელბერაშვილის ხსოვნას!

სათნოებითა და სიკეთით სავსე ადამიანები არა მარტო თავიანთ, არამედ სხვების ცხოვრებასაც ალამაზებენ. თქვენ ასეთი ბრძანდებოდით, ქალბატონო ნაზი. მშვიდი, გაწონასწორებული, სიყვარულით სავსე გულით უძღვებოდით ოჯახს, ზრდიდით საკუთარ და სხვის შვილებს ადამიანური ღირებულებებით და პროფესიული ცოდნით. სრულიად ახალგაზრდამ ჯერ თქვენს მშობლიურ სოფელში დაიწყეთ პედაგოგიური მოღვაწეობა, ხოლო როცა ძვირფას ადამიანთან თანაცხოვრება გადაწყვიტეთ, შილდა და შილდელები მთელი გულით შეიყვარეთ. 55-წლიანი მოღვაწეობა განათლების სისტემაში ძალიან დიდი დროა საამისოდ, რომ უამრავი ახალგაზრდისთვის გესწავლებინათ გერმანული ენა და ლიტერატურა. რამდენს გაუკვალეთ გზა, რამდენს დაეხმარეთ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. თქვენ კარგი მეუღლის, კარგი დედის, კარგი თანამშრომლისა და თანასოფლელის ეტალონი იყავით.

დრომ თავისი საქმე შეასრულა. გარდაცვალება ყოველი ადამიანის ცხოვრების კანონზომიერი დასასრულია, მაგრამ არ დასრულდება თქვენდამი სიყვარული, რადგან თავად იმდენი გაქვთ დათესილი, რომ მის მომკას დრო არ ეყოფა. „შილდის ღირსეული მოქალაქე“ ღირსეულად ბრაძანდებოდით და თქვენი სახელიც მარადიულად დარჩება ჩვენი სოფლის ისტორიაში.

თქვენი გარდაცვალებით გამოწვეული სინანული გულწრფელია და ის შარავანდედი, რაც, უფლის ნებით, თავს დაგადგათ, ჩაუქრობელი!

**მეგობრები და ახლობლები**

## ვანო ფროდიაშვილის მონატრება

ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, რა მოულოდნელად და უეცრად მიგვატოვე. უკვე სამი წელი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. შენმა წასვლამ ბევრი ტკივილი დაგვიტოვა. ჩვენი თვალები ისევ დაგეძებს ყველგან. გვიჭირს იმის დაჯერება, რომ აღარ ხარ ჩვენს შორის, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მაინც ისევ ყველგან ხარ, შენს კარ-მიდამოში, ნივთებში, ფიქრებში. შენ ღირსეულად და კაცურად იცხოვრე ამ წუთისოფელში. წახვედი და წაიღე სიკეთით სავსე გული, რომელიც ყველას სიყვარულს იტევდა და თან გაიყოლე დარდი იმისა, რომ შვილშვილებს ვერ მოესწარ. ჩვენო ვანო, შენ ჩვენს გულებში ყოველთვის ხარ და იქნები. სამი წელი უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს, რა თქმა უნდა სევდიანად, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ. სამეგობრო გიყვრდა ძალიან, უმეტეს დროს ხომ მათთან ერთად ატარებდი. გიყვარდა სამეზობლო და სანათესაო. ახლა უკვე დამთავრდა შენთვის ყველაფერი. მართალია შენმა სულმა გადაინაცვლა მარადისობაში, მაგრამ შენი ხსოვნა ყოველთვის იქნება ჩვენს გულებში და არც არასოდეს წაიშლება. უფალი იყოს შენი სულის შემწე. ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები.

**მეუღლე, შვილები.**

**ალექსანდრე გიგილოშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს გიორგი, ლევან, რევაზ ერგეშიძეებს მამის და ძმის ვაჟა ერგეშიძის გარდაცვალების გამო.**

---

**გია ერგეშიძე, ნაილი ქვაჭრელიშვილი და მაია მუღალაშვილი მწუხარებაში თანაუგრძნობენ გიორგი და ლევან ერგეშიძეებს მამის ვაჟა ერგეშიძის გარდაცვალების გამო.**

# „ჭინჭრაქა“-ს პრემიერა ყვარლის სახალხო თეატრში

ქართული ხალხური ზღაპრის „ჭინჭრაქა“-ს მიხედვით, გიორგი ნახუცრიშვილის მიერ შექმნილი ამავე სახელწოდების კარგად დავიწყებული ძველი პიესა გააცოცხლა სცენაზე, ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა ნიკოლას სარიდისმა, ყვარლის სახალხო თეატრის მსახიობების მონაწილეობით.

28 ივნისს სპექტაკლის პრემიერას, რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა, სხვადასხვა თაობის და გემოვნების მაყურებელი დაესწრო. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები: ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, ქ. თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობები და ა.შ.

პრემიერის წინ შევხვდი სპექტაკლის რეჟისორს და მოუცლელობის მიუხედავად რამოდენიმე მაყურებლისათვის საინტერესო კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვე.

საუბრიდან შევიტყვე, რომ ნიკოლასი საქართველოში ჩამოსვლამდე საბერძნეთში ცხოვრობდა, იქვე მიიღო თეატრალური-სამსახიობო განათლება; მეორე კურისადან მუშაობდა მსახიობად 10 წელი; საქართველოში დაბრუნდა 2011 წელს და სწავლა განაგრძო თეატრალურ უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე დრამის რეჟისურა. როგორც თავად აღნიშნავს, გაუმართლა და მოხვდა არაჩვეულებრივი რეჟისორის გიზო ჟორდანიას ჯგუფში. სადილპომო სპექტაკლი დადგა ვაკის თეატრალურ სარდაფში.

**– ბატონო ნიკოლას! სოციალურ ქსელში სახალხო თეატრის პიარ-თანამშრომელი წერდა: „1963 წელს რუსთაველის სცენაზე მიხეილ თუმანიშვილის რეჟისურით დაიდგა გიორგი ნახუცრიშვილის პიესის მიხედვით, სპექტაკლი „ჭინჭრაქა“, სადაც თამაშობდნენ ქართული თეატრის კორიფეები. წლების განმავლობაში ამ პიესის დადგმას ბევრი რეჟისორი თავს არიდებდა. რთულია თუმანიშვილის შემდეგ მოკიდო ხელი ამხელა საპასუხისმგებლო საქმეს“. რატომ მოგვიდათ ამ პიესის დადგმის იდეა. რამ გადაგადგმევინათ თამამი ნაბიჯი, ახალგაზრდულმა ამბიციამ, თუ თავის დამკვიდრების სურვილმა?**

– თავის დამკვიდრება ნამდვილად არ მიფიქრია, ვერც ამბიციას დავარქმევდი. რა საკვირველია ამ ბუმბერაზი რეჟისორის შემდეგ პიესაზე მუშაობა რთული და საპასუხისმგებლო იყო. რაც შეეხება იდეას, თავისთავად თამაშ-თამაშით მოვიდა. ვფიქრობდით ქართული ხალხური ზღაპარი დაგვედგა და თუ არა „ჭინჭრაქა“, ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ზღაპარი, სხვა რა უნდა ყოფილიყო?!

**– „ჭინჭრაქას“ დადგმა არაპროფესიონალი მსახიობების თამაშის შესაძლებლობებზე გათვალეთ თუ მაყურებლის გემოვნებაზე?**

– რა თქმა უნდა ორივე გავითვალისწინე. მინდოდა მრავალფეროვანი მაყურებელი გვყოლოდა დაწყებული სკოლამდელი ასაკის ბავშვებით.

**– თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არაპროფესიონალ მსახიობებთან გიწევდათ მუშაობა, რა გაგიჭირდათ და თუ იყო მომენტი, როცა არჩევანი პიესასთან დაკავშირებით ინანეთ?**

– ნამდვილად არ მინანია, თუმცა არ უარვყოფ, იყო რაღაც სირთულეები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი პირველად იდგა სცენაზე, სკოლის მოსწავლეები გვყავს ძალიან ბევრი, გამოცდილი მსახიობების გვერდით მონდომებით თამაშობდნენ. თეატრის სიყვარულმა ყველა შეგვკრა და გაგავაერთიანა. ერთმანეთს გვერდში ამოუდგნენ და პარტნიორებს სცენაზე კომფორტულ პირობებს უქმნიდნენ. საოცარი გულწრფელობა მოდის დასის თითოეული წევრისგან. ერთმანეთს ეხმარებოდნენ და შეიძლება ითქვას, სერიოზული სიძნელეებიც არ ყოფილა.

**– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სრულიად უცხო დასთან მოგიწიათ მუშაობა. კასტინგით შეარჩიეთ და გაანაწილეთ მსახიობებზე როლები?**

– ამ მსახიობების მონაწილეობით წინა სპექტაკლების ჩანაწერები ვნახე. დაახლოებით უკვე ვიცოდი თითოეულის შესაძლებლობა. უნდა აღვნიშნო, რომ მომწონდა მათი თამაში. შეიძლება ითქვას, უკვე შემდგარი დასი იყო. ძირითადად ადგილობრივი თეატრის მსახიობები დავაკავე და მოვიწვიე სკოლის მოსწავლეებიც.

**– რა დრო დასჭირდა პიესაზე მუშაობას?**

– იანვრიდან დავიწყეთ სამაგიდო სამუშაოები. მერე რაღაც პერიოდი გავჩერდით. სცენაზე ავედით სულ რაღაც ორ თვე ნახევრის წინ.

**– რას გვეტყვით შემოქმედებითი ჯგუფის დანარჩენ პერსონალზე?**

– მუსიკალურად ცნობილი მელოდიებით გააფორმა ნიჭიერმა ქალბატონმა მანანა ავაზაშვილმა; მხატვრობა და დეკორაციები ეკუთვნის უნიჭიერეს მხატვარს, ბატონ ბეჟან კობიაშვილს; კოსტუმები შეიქმნა ჩვენი წარმოსახვით. მსახიობებიდან რომელიმეს გამოყოფა შეუძლებელია, რადგან ყველა თავისებური ხიბლით და ბუნებრივი ნიჭიერებით ასრულებს მთავარ, თუ ეპიზოდურ როლებს.

**– თქვენმა ჩანაფიქრმა გაამართლა?**

– დიახ, აბსოლუტურად გაამართლა. რისი მოლოდინიც მქონდა ის გამოვიდა.

**– რუსთაველის თეატრის „ჭინჭრაქა“-ს გავლენა თუ იგრძნობა სპექტაკლში? ჰგვანან თქვენი გმირები თუმანიშვილის „ჭინჭრაქა“-ს პერსონაჟებს?**

– მინდოდა უფროსი თაობის მაყურებლისთვის გამეხსენებინა და ახალი თაობისთვის მეჩვენებინა ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით გიორგი ნახუცრიშვილის მიერ შექმნილი პიესა „ჭინჭრაქა“. არამც თუ იგრძნობა, მსახიობები შეეცადნენ დამსგავსებოდნენ, თამაშით მიებაძათ კორიფეებისთვის, თუმცა ჩვენი ინდივიდუალური შტრიხები და ინტერპრეტაციები იქნება სცენაზე. იმედია, თითოეულ მათგანს ხელახლა აღმოაჩენს და შეიყვარებს მაყურებელი.

ჩვენ ჩვენი სათქმელი ვთქვით!

ჯერი თქვენზეა! ასე მგონია, რომ ძალიან კარგად უნდა მიიღოს მაყურებელმა. იმედი მაქვს თითოეული მათგანი დარბაზს კმაყოფილი და ნასიამოვნები დატოვებს. თეატრის რეპერტუარში პიესა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

– მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ადგილობრივ ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტის მერს როსტომ სესიაშვილს, ბატონ ირაკლი მათიკაშვილს, ქალბატონ მაია ზარდიაშვილს და კულტურის სახლის თითოეულ თანამშრომელს, რომელთა გვერდში დგომის და მხარდაჭერის გარეშე იდეის განხორციელებას ვერ შევძლებდით.

– რეჟისორის მოლოდინი გამართლდა, კმაყოფილმა მაყურებელმა აპლოდისმენტებით დააჯილდოვა მთელი შემოქმედებითი ჯგუფი.

სპექტაკლის დასასრულს სცენიდან მსახიობებს და რეჟისორს მიულოცეს მაყურებლის სახელით კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა მაია ზარდიაშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა და თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა ვენერა ფეიქრიშვილმა.

– მაია ზარდიაშვილი: თეატრი გვეხმარება კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაში. მნიშვნელოვან როლს თამაშობს თაობათა სწორ აღზრდა-განვითარების საქმეში. თეატრი სარკეა სულისა, რომელშიც კარგად ჩანს ჩვენი ღირსებაც და ჩვენი ნაკლიც. დიახ! ზუსტად ამან განაპირობა ყვრელში სახალხო თეატრის წარსულიდან ხელახალი აღმოცენება, ამისათვის უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ირაკლი მათიკაშვილს, რომელმაც ძალიან დიდი შრომა ჩადო, რომ სახალხო თეატრი აქამდე მოსულიყო. უდიდესი მადლობა ნიკა სარიდისს, დასის უნიჭიერეს მსახიობებს, მთელ შემოქმედებით ჯგუფს; კულტურის სამსახურის თანამშრომლებს; ბატონ ბეჟან კობიაშვილს, რომელმაც დიდი რუდუნებით გაგვიმზადა დღევანდელი ჩვენი დეკორაციები.

განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ ჩვენი მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი როსტომ სესიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი დავით ქევხიშვილი, რომელთა ღვაწლის შედეგია ყვარლის აქტიური კულტურული ცხოვრება.

– როსტომ სესიაშვილი: ქალბატონმა მაიამ პერსონალურად ჩამოთვალა ყველა, ვინც უდიდესი შრომა გასწია იმისათვის, რომ დღეს ილია ჭავჭავაძისა და კოტე მარჯანიშვილის სამშობლოში თეატრი ფუნქციონირებდეს და სულიერად ამდიდრებდეს ჩვენს საზოგადოებას. კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, ჩემო კარგებო, წარმატებები მინდა გისურვოთ. ეს არის უმნიშვნელოვანესი ჩვენი საზოგადოებისათვის და სამაყოა, რომ ყვარლის რაიონში არის თეატრალური დასი. მნიშვნელოვანია და ჩვენი ვალია, რომ მაქსიმალურად გვერდში ვედგეთ ასეთი ტიპის მოდელურ ღონისძიებებს თუ განშტოებებს. წარმატებებს გისურვებთ.

**მაია დიასამიძე**

# ...მაყურებლებს და გულშემატკივრებს შევთავაზებთ ბევრ ახალ, საინტერესო და რთულ საცეკვაო ნომრებს

**დასაწყისი მე-5 გვ. -ზე**

რომ საზოგადოება მიყურებდა, მაკვირდებოდა, როგორ გავუმკლავდებოდი ამ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშობიდან ყველა მიცნობდა, ეს ერთგავრი უნდობლობა მაინც იგრძნობოდა. ამ პატარა გოგომ ამდენი ბავშვები როგორ უნდა დაიმორჩილოს – ესეც გამიგია. ეს ყველაფერი გარკვეულწილად მოქმედებდა ჩემზე, ხან მწყინდა და გულთან ახლოს მიმქონდა. ხანაც ვახერხებდი რომ გამეტარებინა წყენა. ახლა უკვე ვიცი – როცა რაიმე ახალი ხდება, ჩვენი საზოგადოება ყოველთვის სკეპტიკურად უყურებს სიახლეს. მაშინდელი მათი დასკვნის მიუხედავად, რომ მე ერთი წელიც ვერ შევძლებდი ამ საქმის კეთებას, აგერ უკვე 12 წელია წარმატებით ვსაქმიანობ.

**– კიდევ რას გვეტყვი შენი წარმატებების შესახებ?**

– წარმატებაა უკვე ის, რომ ბავშვებს ეს ცეკვები უყვართ და სურვილი აქვთ ფესტივალებზე, კონკურსებში და სატელევიზიო კასტინგებში მონაწილეობის მიღების, რადგანაც საკუთარ ძალებში დარწმუნებულები არიან. ფესტივალის დიპლომებს არ ავაფრიალებ, რადგან დღეს მისი ფასი კაპიკიც არაა. თუმცა საკმაოდ ბევრი გვაქვს. ვგეგმავთ კიდევ მივიღოთ სერიოზულ კონკურსებში მონაწილეობა და იმის იმედიც გვაქვს, რომ წარმატებებს მივაღწევთ.

**– შენს სამომავლო გეგმებში კიდევ რა შედის?**

– ჩემთვის ყველაზე მთავარია, რაც შეიძლება მეტი სიახლე იყოს ჩემ საქმიანობაში.. ამ მიმართებით ჩვენს მაყურებლებს და გულშემატკივრებს შევთავაზებთ ბევრ ახალ, საინტერესო და რთულ საცეკვაო ნომრებს. მნიშვნელოვანი საიხლეა ის, რომ მრავალფეროვნებისთვის და კიდევ კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით უკვე სამნაირ სტილში ვავარჯიშებ ბავშვებს.



დღეს, მსოფლიოს ქორეოგრაფიაში წამყვან ადგილზეა ჰიპ ჰოპი, ლათინო ამერიკული ცეკვები და კონტემპორარი, რაც ბალეტის ტანვარჯიშის და სამეჯლისო ცეკვების ერთობლიობას მოიცავს ... ამ მიმართულებაზე, სულ რამდენიმე თვეა რაც დავიწყეთ მუშაობა და სოლო კონცერტზეც პირველად შევთავაზებთ მაყურებელს, რამაც საკმაოდ დიდი მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სოლო კონცერტები ყოველთვის გამოირჩევა სიახლეებით და მრავალფეროვნებით. აქედან გამომდინარე, მაყურებელიც არასოდეს გვაკლია.

რათქმაუნდა, მომავალში ბევრად დახვეწილი ნომრებით წარვდგებით მაყურებლის წინაშე.

**– წარმატებებს გისურვებთ!**

**ია გიგიაშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი

მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი

კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2

საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86